




Open Forum for **CSO**
Development Effectiveness

სიამ რივის კონსენსუსი
ბანკითარების სფეროში
საზოგადოებრივი ორგანიზაციების
ეფექტიანობის სარტყუმორისო
სტანდარტების შესახებ



www.cso-effectiveness.org

ღია ფორუმი განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის შესახებ

განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ღია ფორუმი გლობალური პროცესია, რომელიც თვით ამ ორგანიზაციებმა დააფუძნეს მთელ მსოფლიოში. ფორუმის მიზანია, ჩამოყალიბდეს გაზიარებული პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს განვითარების სფეროში ჩაბმული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობას და დაადგენს სტანდარტების იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი საარსებო გარემოს შესაქმნელად. ფორუმის მიზანია, ასევე გამოკვეთოს სამოქალაქო საზოგადოების არსებითი როლი განვითარების საერთაშორისო სისტემაში.

ღია ფორუმი ოფიციალურად 2008 წლის ივლისში დაარსდა. ეს იყო დახმარების ეფექტიანობის შესახებ უმაღლესი დონის მესამე ფორუმის გამომხაურება, რომელიც ჩატარდა აკრაში (განა). ეს იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხი მრავალრიცხოვან მონოდებაზე პარიზის დეკლარაციასთან მიერთების მოთხოვნით. ამ მონოდებების პასუხად, პარიზის დეკლარაციასთან მიერთების ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოებამ გადანიშნა, განესაზღვრა საკუთარი განვითარების განსხვავებული, მაგრამ თანაბარუფლებიანი აქტორის ეფექტიანობა. ღია ფორუმის მანდატი გაგრძელდება უმაღლესი დონის მეოთხე ფორუმამდე (HLF4), რომელიც 2011 წელს ჩატარდება ბუსანში (სამხრეთ კორეა). აქ ღია ფორუმი თავის დასკვნებს აღიარებისათვის წარუდგენს ყველა მონაწილეს (დონორებს, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს). ამავე დროს, ღია ფორუმის მიერ შემოთავაზებული საბოლოო დასკვნები დიდხანს შეასრულებს ორიენტირის როლს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რათა, როგორც განვითარების დამოუკიდებელმა აქტორებმა, შეძლონ საკუთარი ეფექტიანობის გაუმჯობესება.

ღია ფორუმის ამოცანები ქმნის სამ ძირითად ჯგუფს. ესენია:

1. საყოველთაო შეთანხმების მიღწევა გლობალური პრინციპების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავს განვითარების ეფექტიანობას;
2. სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რათა მათ შეძლონ უკვე შეთანხმებული პრინციპების გატარება და
3. მთავრობების დარწმუნება, რომ მათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეფექტიანი მუშაობისთვის შეუქმნან ხელის შეწყობი გარემო.

ეს სამი კომპონენტი საფუძვლად დაედო *სიმ რიპის კონსენსუსს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ განვითარების სფეროში*. ეს არის გასული ორი წლის განმავლობაში ღია ფორუმის მრავალმხრივი პროცესის კონსოლიდირებული შედეგი.

ღია ფორუმის კონსულტაციებს ხელმძღვანელობდა გლობალური მხარდამჭერი ჯგუფი – მსოფლიო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო. 2009 წლიდან 2011 წლამდე ღია ფორუმმა ეროვნული, რეგიონალური და თემატური კონსულტაციების მეშვეობით მოიცვა ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ კონსულტაციების საერთო მიზანი იყო ყველასათვის მისაღები პრინციპების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა წარემართა სამოქალაქო საზოგადოებების მუშაობა განვითარების სფეროში და დაედგინა ის სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია მათი მისიის მაქსიმალურად ეფექტიანი განხორციელებისათვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღია ფორუმის მიზანი იყო იმის გამორკვევა, თუ რა განაპირობებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობას განვითარების სფეროში. ამ გლობალურმა პროცესმა სრულიად სხვადასხვა მანდატის მქონე უამრავ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შესაძლებლობა მისცა თავიანთი წვლილი შეეტანათ მუშაობაში და სწორედ ეს არის ღია ფორუმის საფუძველი, მისი ლეგიტიმურობის დასტური.

ღია ფორუმი, სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაციებთან ერთად, ატარებდა მულტი-აქტორულ შეხვედრებს სახელმწიფოებთან და დონორებთან ეროვნულ, რეგიონალურსა, თუ საერთაშორისო დონეებზე. ეს ინიციატივები იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ ისინი ხელს უწყობდა დიალოგსა და დისკუსიებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დონორებსა და ხელისუფლებებს შორის. დისკუსიების საგანი იყო ხელსაყრელი საარსებო გარემოს შექმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რაც მათ დაეხმარებოდა განვითარების ეფექტიან აქტორებად ჩამოყალიბებაში.

კონსულტაციებში მონაწილე ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძალისხმევით საფუძველზე, ღია ფორუმის პირველმა გლობალურმა ასამბლეამ (სტამბოლი, თურქეთი, 2010 წლის სექტემბერი) დაამტკიცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის რვა ძირითადი პრინციპი განვითარების სფეროში. ეს პრინციპები ქმნის ეფექტიანი მუშაობის საფუძველს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ღია ფორუმის მეორე და დასკვნით გლობალურ ასამბლეაზე (სიემ რიპი, კამბოჯა, 2011 წლის ივნისი) საზოგადოებრივი ორგანიზაციების 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა ერთხმად მიიღო სიემ რიპის კონსენსუსი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ განვითარების სფეროში, როგორც სტამბოლის პრინციპების პრაქტიკაში გატარების სახელმძღვანელო. საერთაშორისო სტანდარტები, ძირითადად, ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით პირველი გლობალური ასამბლეის მიმდინარეობისას, მაგრამ საბოლოო სახე მას მიეცა ეროვნული, რეგიონალური და თემატური კონსულტაციების შედეგად.

საერთაშორისო სტანდარტები სამოქალაქო საზოგადოებების მიერ გლობალური შეთანხმების მიღწევის საუკეთესო მაგალითია. ის ქმნის ლეგიტიმურობის მტკიცე საფუძველს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებებისათვის.

ეს საერთაშორისო სტანდარტები იყოფა სამ ძირითად ნაწილად:

- ა) სახელმძღვანელო მითითებები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საკუთარ საქმიანობაში სტამბოლის პრინციპების დასაწერად;
- ბ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაძლიერების მექანიზმები და
- გ) გადამწყვეტი პირობები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანი მუშაობისათვის განვითარების სფეროში: ხელისუფლების პოლიტიკა და პრაქტიკა.

სტანდარტებს ერთვის ორი დამოუკიდებელი დოკუმენტი – დანერგვის მეთოდები (რომლებშიც მოცემულია დეტალური მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავენერგოთ პრაქტიკაში ეს პრინციპები სხვადასხვა კონკრეტული სამუშაო გარემოს გათვალისწინებით) და ადვოკატირების მეთოდები (რომლებშიც მოცემულია დეტალური მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საერთაშორისო სტანდარტებში მოცემული

მინიმუმები სამოქალაქო საზოგადოებების სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად სპეციფიკურ ეროვნულ და რეგიონალურ გარემოებებში).

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამ გარდამტეხი გლობალური შეთანხმებით, განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებითა და სრულ ურთიერთშეთანხმებაზე დამყარებული ღია ფორუმის პროცესის მეშვეობით, სამოქალაქო საზოგადოებებმა ხორცი შეასხეს ამბიციურ მიზანს, კერძოდ, შეიმუშავეს ერთობლივი კონსოლიდირებული ხედვა და აიღეს ვალდებულება – ეფექტიანობის პრინციპების დანერგვით გაამყარონ თავიანთი მუშაობის პრაქტიკა განვითარების სფეროში.

სარჩევი

ნაწილი I. შესავალი.....	5
ნაწილი II. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტაგორიის პრინციპები განვითარების სფეროში.....	7
ნაწილი III. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაქლიერების მეთოდები.....	21
ნაწილი IV. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის მიღწევის აუცილებელი პირობები განვითარების სფეროში - სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკა.....	25
ნაწილი V. სამომავლო გზები.....	31
დანართი №1. სტაგორიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის პრინციპები განვითარების სფეროში.....	33
დანართი №2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი განვითარების სფეროში.....	36
დანართი №3. განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობისა და ხელსაყრელი გარემოს მულტი-ექტორული სამუშაო ჯგუფის მთავარი გზავნილები.....	38

ნანილი I. შესავალი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის გაზრდის იდეის ერთგულება...

მსოფლიოს მილიონობით საზოგადოებრივ ორგანიზაციას, როგორც ცვლილებებისა და სოციალური გარდაქმნების ნოვატორს, სრულიად განსაკუთრებული და არსებითი წვლილი შეაქვს განვითარების საქმეში. ეს წვლილი გრძელვადიანია: საზოგადოებრივი ორგანიზაციები მხარს უჭერენ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ფართო მასებში არსებული გამოცდილების გამოყენებას შემდგომი განვითარებისთვის; ისინი გვევლინებიან განვითარების როგორც დონორებად, ასევე მონაწილეებად; ხელს უწყობენ ცოდნისა და ნოვატორული იდეების გავრცელებას; ზრუნავენ გლობალური აზროვნებისა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცებაზე; აქტიურად უჭერენ მხარს და ადვოკატირებენ ღია პოლიტიკურ დიალოგს ხელისუფლებებთან და დონორებთან, რათა გაერთიანებული ძალებით იბრძოლონ საზოგადოების უწყვეტი განვითარებისთვის.

ამავე დროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აცნობიერებენ არა მხოლოდ საკუთარ წვლილს, არამედ სისუსტეებსაც და იმ ამოცანებსაც, რომელთა წინაშეც დგანან, როგორც განვითარების შემოქმედნი. ამიტომ, მზად არიან, უფრო დახვეწონ მუშაობის მეთოდები და სრული პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ საქმიანობაზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ღია ფორუმი განვითარების სფეროში, რომელიც გლობალურ და სრულ ურთიერთთანამშრომლობას ემყარება, ადგენს იმ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს აუცილებელი ცვლილებები საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად განვითარების სფეროში.

2010 წლის სექტემბერში 82 ქვეყნის 170-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიკრიბა სტამბოლში (თურქეთი). მათ განიხილეს და ერთხმად მიიღეს **საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპები განვითარების სფეროში** (დანართი №1). სტამბოლის პრინციპები 70-ზე მეტ ქვეყანასა და რეგიონში არსებული ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაციის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია.

სტამბოლის რვა პრინციპი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსხვავებულ მსოფლმხედველობებს, უფლებამოსილებებს, მიდგომებს, ურთიერთობებსა და იმ არსებით ცვლილებებს, რომლებსაც ისინი აღწევენ თავიანთი საქმიანობის შედეგად. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალფეროვნებისა და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, სტამბოლის პრინციპები გამოყენებულ უნდა იქნეს მიზანმიმართულად, მაგრამ, ამავე დროს, თითოეული საზოგადოებრივი ორგანიზაციის კონკრეტული ამოცანებისა თუ რეგიონის სპეციფიკის შესაბამისად.

სტამბოლის პრინციპები საფუძვლად დაედო **საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტებს განვითარების სფეროში**, რომლებიც მიიღეს 2011 წლის ივნისში, სიემრიპის (კამბოჯა) მეორე საერთაშორისო ასამბლეაზე. ეს სტანდარტები სახელმძღვანელო მითითებებია, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს სტამბოლის პრინციპების სწორი ინტერპრეტაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კორექცია, განსხვავებული ლოკალური, თუ რეგიონალური თავისებურებების შესაბამისად.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, როგორც განვითარების აქტორებზე, არსებით გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ისინი მუშაობენ. თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა, მაშინაც კი, როდესაც ისინი დონორებად გვევლინებიან, გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს საზოგადოებრივი

ორგანიზაციების ჩართულობის ხარისხს განვითარების პროცესში. ამდენად, *სტამბოლის პრინციპების* დანერგვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია მოცემული მთავრობის პოლიტიკა, კანონები და რეგულაციები ამ პრინციპების რეალიზაციისათვის.

2008 წლის აკრის უმაღლესი დონის ფორუმზე ყველა დონორმა და მთავრობამ იტვირთა ვალდებულება, „ემუშავათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, რათა შეექმნათ ისეთი გარემო, რომელიც მაქსიმალურად გაზრდიდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეტანილ წვლილს განვითარებაში“. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამუშაო პირობები გაუარესდა როგორც დონორ, ასევე განვითარებად ქვეყნებშიც. ამიტომ, *ღია ფორუმი* მიესალმება და მხარს უჭერს განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობისა და ხელსაყრელი გარემოს მულტი-აქტორული სამუშაო ჯგუფის მიერ (the multi-stakeholder Task Team on CSO Development Effectiveness and Enabling Environment) საქმიანობის გაგრძელებას; ასევე, იმ მნიშვნელოვან დასკვნებს, რომლებიც გააკეთა ამ ჯგუფმა დახმარების ეფექტიანობის უმაღლესი დონის მეოთხე ფორუმისათვის. ყოველივე ეს, შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და შემდგომ გაუმჯობესებას.

განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტები ქმნის საფუძველს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის დანარჩენ აქტორებთან. ეს ურთიერთობა წარიმართება „BetterAid“ (უკეთესი დახმარება) პლატფორმის მეშვეობით, ბუსანის უმაღლესი დონის მეოთხე ფორუმის (HLF-4) მიზნების მისაღწევად.

საერთაშორისო სტანდარტები ახალ შესაძლებლობებს ქმნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, განვითარებადი ქვეყნების მთავრობების, დონორებისა და სხვა სახის დახმარების სხვა აქტორების წარმატებული თანამშრომლობისათვის, რომლის მიზანია ხალხთა ძალისხმევის ხელშემწყობა განვითარებისა და საკუთარი უფლებების დასაცავად. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოუწოდებენ HLF-4-ის მონაწილე ყველა სახელმწიფოს, რომ მათ აღიარონ *ღია ფორუმის* პროცესის შედეგები და მიიღონ *სტამბოლის პრინციპები*, როგორც განვითარების საქმეში ჩართულობისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისაკენ მიმართული მათი პოლიტიკის არსებითი საფუძველი.

განვითარების გაზრება განსაზღვრავს ეფექტიანობას განვითარებაში...

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა განვითარებაში ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მნიშვნელოვნად ცვლის სიღარიბის, უთანასწორობისა და მარგინალიზაციის სიმპტომებსა და მიზეზებს. თვით საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის განვითარების ეფექტიანობა დაკავშირებულია ადამიანური და სოციალური განვითარების მრავალმხრივ პროცესებთან, რომლებიც გავლენას ახდენს ღარიბ, დისკრიმინირებულ და მარგინალურ მოსახლეობაზე, ამ პროცესებში მათი უშუალო ჩართულობისა და გაძლიერების გზით.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არა აქვთ განვითარების ერთი კონკრეტული მოდელი. ისინი ითვალისწინებენ მოსახლეობის თავისებურებებს, იქ უკვე არსებულ ორგანიზაციებს და საშუალებას აძლევენ მათ, რომ თავად აირჩიონ განვითარების საკუთარი გზა. იმისათვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მზად უნდა იყვნენ განვითარების განსხვავებული მოდელებისთვის, რომლებშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა (დედამიწის შესაძლებლობების საზღვრები) და მკვიდრი მო-

სახლეობის აზრი *vivir bien* -ის (ფრ. „კარგი ცხოვრება“) შესახებ.

სიღარიბეში მცხოვრებთ და მარგინალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განვითარების საშუალებებზე. ამ უთანასწორობის მიზეზია არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობები და უსახსრობა, არამედ, აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრირება და ის ბარიერები, რომლებიც გენდერული თანასწორობისა და უმცირესობების უფლებების დაცვას ელოდება. ამიტომ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელია არჩევანის გაკეთება და ერთი კონკრეტული მხარის ინტერესების დაცვა. ეს მოიცავს სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობას, სადაც ის უსუსურ მსხვერპლად კი არა, არამედ განვითარების აქტიურ მონაწილედ და მათივე უფლებების დამცველთა პოლიტიკურ მხარდამჭერად განიხილება.

განვითარების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისეულ ხედვას მათი, როგორც განვითარების აქტორების, მრავალფეროვნება

განსაზღვრავს. ეს ეხება იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, რომლებიც არ მუშაობენ უშუალოდ დახმარების სფეროში (რეზიუმე საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის შესახებ განვითარებაში, იხ. დანართ №2-ში). საზოგადოებრივი ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად გვევლინებიან მოსახლეობის უფლებების დამცველებად და არა ქველმოქმედების აგენტებად, რომლებსაც ხშირად გარეშე მიზეზებით გამოწვეულ პრობლემებზე უწევთ რეაგირება.

რა არის საზოგადოებრივი ორგანიზაციები?

„საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნებისმიერი არაკომერციული და არასახელმწიფო ორგანიზაცია, რომელშიც ადამიანები ახდენენ თვითორგანიზებას საერთო ინტერესების დასაცავად საჯარო სფეროში. ესაა ორგანიზაციების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ნევრობაზე დაფუძნებულ, საკითხის, მიზნის გარშემო გაერთიანებულ და მომსახურებაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ასეთი ორგანიზაციების მაგალითებია სათემო ორგანიზაციები და სოფლის ასოციაციები, გარემოს დამცველთა გაერთიანებები, ქალთა უფლებების დამცველი ჯგუფები, ფერმერთა ასოციაციები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფკავშირები, კოოპერატივები, პროფესიული ასოციაციები, სავაჭრო პალატები, დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტები და მედია, რომელიც არ არის მოგებაზე ორიენტირებული.“

(საკონსულტაციო ჯგუფის მიგნებებისა და რეკომენდაციების სინთეზი, 2008 წლის აგვისტო).

ნაწილი II. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპები განვითარების სფეროში

პრეამბულა...

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დემოკრატიული ცხოვრების აქტიური და მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც თვითმმართველი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იყვნენ ეფექტიანი და ანგარიშვალდებულნი. ამავე დროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღიარებული არიან, როგორც განსხვავებული და დამოუკიდებელი აქტორები, რომლებიც ღარიბი და მარგინალური მოსახლეობის განვითარებისათვის მუშაობენ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოციალური ცვლილებების კატალიზატორებია, რომლებიც საერთო ღირებულებებისა და ინტერესების მქონე პარტნიორებთან თანამშრომლობენ.

როგორია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის პრინციპები განვითარების სფეროში?

განვითარების სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის პრინციპებში გაცხადებულია ის ღირებულებები და თვისებები, რომლებმაც უნდა განსაზღვროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ურთიერთობები. ეს არის უნივერსალური სახელმძღვანელო პრინციპები განვითარების სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის და ისინი ხაზს უსვამს ამ საქმიანობის მნიშვნელობას სიღარიბისა და მარგინალიზაციის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებისათვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალფეროვნების გამო, მათი ეფექტიანობა განვითარებაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემო პირობებზე: მათ თავსებადობაზე კონკრეტულ გარემოსთან, სექტორთან, მმართველობასთან და განვითარების მიმართ არსებულ დამოკიდებულებებთან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები განვითარების სფეროში მრავალფეროვნებისა და სიახლეების დანერგვის სოციალური გამოხატულებაა. მათ შემოაქვთ როგორც ორგანიზაციული ღირებულებების, მიზნებისა და მასების მოზიდვის მეთოდების მდიდარი არსენალი, ასევე ცოდნა ამ სფეროს შესახებ, სტრუქტურები, ინტერესები და რესურსები.

განვითარება სოციალური და პოლიტიკური პროცესია, რომელიც გულისხმობს ადამიანების მონაწილეობასა და ჩართულობას საკუთარი უფლებების დაცვაში, როგორც მის (ამ პროცესის) საბოლოო შედეგს. ამგვარად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები გვევლინებიან განვითარებისაკენ მიმართული ცვლილებების პოლიტიკურ მხარდამჭერებად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის დამცველებად და მიმწოდებლებად. საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანამშრომლობენ საზოგადოებებთან, ერთმანეთთან და განვითარების სხვადასხვა აქტორთან. ამით მათ დამატებითი წვლილი შეაქვთ განვითარებადი

ქვეყნების მთავრობებისა და განვითარების სხვა დონორების ძალისხმევაში სხვადასხვა დონეზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მჭიდრო და, ხშირად, სპეციფიკურ კავშირში არიან ადგილობრივ პროცესებთან, მაგრამ, ამავე დროს, ზრუნავენ იმაზე, რომ ცვლილებები გამოიწვიონ ეროვნულ და გლობალურ დონეებზეც. განსხვავებით პოლიტიკური პარტიების, სახალხო ორგანიზაციებისა და სხვა სოციალური მოძრაობებისაგან, რომლებიც შეიძლება განვითარებაზე გავლენის მოხდენას პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების გზით ცდილობენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი დამოუკიდებელ, უპარტიო პოლიტიკურ აქტორს წარმოადგენს და მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს გამოხატავს. თუმცა, ზოგ ქვეყანაში, როგორცაა, მაგალითად, ფილიპინები, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეიძლება უშუალო მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო მუშაობაშიც.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზრუნვა განვითარებაზე არაძალადობრივი პროცესების მიმართ ერთგულებითაც გამოირჩევა. ისინი ცდილობენ, მიაღწიონ მაქსიმალურ გაუმჯობესებას და, ამავდროულად, უერთგულონ პრინციპს – „არ მიაყენო ზიანი“ (“do no harm”) განვითარებისკენ მიმართული საქმიანობის ყველა შესაძლო შედეგის გათვალისწინებით. საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოციალურ სოლიდარობას, მომსახურებასა და მობილიზაციას წარმართავენ იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ საკუთარი უფლებების უკეთ დაცვა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ისინი ცოდნითა და სიახლეებით ამდიდრებენ საჯარო პოლიტიკურ ურთიერთობებს, არიან დონორები, რომლებიც ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს იძიებენ და იყენებენ განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანამშრომლობენ მთავრობებთან და, შესაძლოა, შედეგების მისაღწევად მათ ერთმანეთს შეუთანხმონ თავიანთი ქმედებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ეს სტანდარტები უპირატესობას ანიჭებს დის-

კრიმინაციაზე, უფლებების შეზღუდვაზე, სიღარიბესა და უთანასწორობაზე რეაგირებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მრავალ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოქალაქეების გააქტიურების, კანონის უზენაესობის დაცვისა და სახელმწიფო ქონების კორუფციისაგან დაცვისათვის ბრძოლაში. როგორც მოქალაქეთა აქტივობის ნებაყოფლობითი გამოხატულება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები დემოკრატიული და ყოვლისმომცველი განვითარების საზომს წარმოადგენენ.

ღია ფორუმის ყველა კონსულტაცია ითვალისწინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების გამორჩეული, თავისუფალი და დამოუკიდებელი აქტორების ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: ნებაყოფლობითობა, მრავალფეროვნება, უპარტიოება, არაძალადობა, ცვლილებებზე ორიენტირებული თანამშრომლობა და განვითარების პროცესის დაკავშირება მის შედეგებთან. ამ დოკუმენტში მოცემული სტამბოლის პრინციპები ახალი არ არის. ის იმ ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ათწლეულების მანძილზე დაგროვილი საერთო გამოცდილების გამოხატულებაა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ღია ფორუმის პროცესში და კონსულტაციებში. სტამბოლის პრინციპები, როგორც ასეთი, ასახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას და მოქმედების მექანიზმებს როგორც მშვიდობიან, ისე კონფლიქტურ სიტუაციებში; სრულიად განსხვავებულ სფეროებში – დანყებულ რიგით მოქალაქეებთან ურთიერთობით და დამთავრებული პოლიტიკის კურსის ადვოკატირებით; საგანგებო ვითარებებში თუ გრძელვადიანი განვითარების პროგრამების განხორციელებისას.

სტამბოლის პრინციპები მიღებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთშეთანხმების შედეგად იმ ძირითადი ღირებულებების შესახებ, რომლებმაც უნდა წარმართოს მათი საქმიანობა. მიუხედავად ამისა, მათ არ შეუძლიათ სრულად გაითვალისწინონ გეოგრაფიული გარემოს, მიზნებისა და ამოცანების მთელი ის მრავალფეროვნება, რომელიც თან ახლავს განვითარების სფეროში მოქმედი ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობას. სტამბოლის პრინციპები უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს იმ კონკრეტული ქვეყნისა და ორგანიზაციული მონყობის მიხედვით, რომელშიც მუშაობს ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ამავე დროს, სტამბოლის პრინციპების მიზანი არ არის გაიმეოროს ან ჩაენაცვლოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ ქვეყანასა თუ სფეროზე მორგებულ პრინციპებს ან ანგარიშვალდებულების სტანდარტებს. სტამბოლის პრინციპების მიღება ნიშნავს სტრუქტურული თვითგამოხატვის, საკითხების ღრმად გააზრებისა და ანგარიშვალდებულების სტიმულირებას, იმისათვის რომ, მათ ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლებას განვითარებაში. სწორედ ეს არის ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული თითოეული პრინციპის დანიშნულება, რაც კიდევ უფრო დეტალურადაა დამუშავებული ქვემოთ მოყვანილ წყაროში – „სტამბოლის პრინციპების განხორციელების მეთოდები“.

სტამბოლის პრინციპები – საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმძღვანელო განვითარების სფეროში საშუაოდ

1. აღიარე და დაიცავი ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია, როდესაც ისინი ... შეიმუშავენ და ნერგავენ სტრატეგიებს, ღონისძიებებსა და მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების, მათ შორის – განვითარების,

ღირსების, ღირსეული სამუშაოს, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანთა შორის თანასწორობის უფლების დაცვას.

განვითარებისადმი უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომა მრავალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო და განახორციელა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საშუალებას აძლევენ ადამიანებს, რომ ხმა აიმაღლონ საკუთარი უფლებების დასაცავად. ამისათვის ისინი იყენებენ სისტემურ მიდგომებს, მათ შორისაა ანგარიშის მოთხოვნა მთავრობებისგან ადამიანის უფლებების რეალიზების, აღიარებისა და დაცვის საკითხებში. ეს მიდგომები ყურადღებას ამახვილებს სიღარიბის ისეთ სისტემურ მიზეზებზე, როგორებიცაა: უთანასწორობა, დაუცველობა, გარიყვა და ნებისმიერი სხვა სახის დისკრიმინაცია. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეყრდნობიან ადამიანის ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. ეს სტანდარტები გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ადამიანის უფლებათა დაცვის ერთიანი სისტემიდან, რომელიც მოიცავს განვითარების უფლების დეკლარაციას, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას, შრომის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად კონვენციებს, ქალთა ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის კონვენციასა (CEDAW) და რეგიონალურ დონის შეთანხმებებს ადამიანის უფლებების შესახებ.

სახელმძღვანელო მითითებები

- ა) დანერგეთ ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომები განვითარების სფეროში** ადვოკატირების, პროგრამული ანალიზის, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ასპექტში. გამოიყენეთ მონაწილეობის, სწავლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მექანიზმები, აწარმოეთ ღია პოლიტიკური დიალოგი, რათა ხელისუფლება გახადოთ ანგარიშვალდებული.
- ბ) დაიცავით, დაეხმარეთ და აამოქმედეთ სამიზნე მოსახლეობის უფლებები და მიანიჭეთ ისინი ქალებს, რომლებსაც ხშირად ეკრძალებათ მონაწილეობა** ქვეყანაში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღონისძიებების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში.
- გ) აამოქმედეთ და გააუმჯობესეთ სამიზნე მოსახლეობის შესაძლებლობები, იმისათვის რომ, მონაწილეობა მიიღონ მულტი-აქტორულ პოლიტიკურ დიალოგში;** ეძიეთ და წახალისეთ მრავალმხრივი პოლიტიკური პროცესები მთავრობებთან, დონორებსა და განვითარების სხვა აქტორებთან ერთად; დაეყრდენით ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალსა და სტანდარტებს.
- დ) გამოიყენეთ ისეთი მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალ, დროულ და ინფორმირებულ შეთანხმებას** სამიზნე საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან. განავითარეთ დაუცველი ჯგუფების უნარ-ჩვევები და მიეცით მათ საჭირო ინფორმაცია საკუთარი სამართლებრივი უფლებებისა და მათი დაცვის საშუალებების შესახებ.
- ე) შეიმუშავეთ გაზომვადი მაჩვენებლები,** რაც შესაძლებლობას მოგვცემთ, განსაზღვროთ განვითარების ეფექტიანობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გენდერული თანასწორობის, ბავშვთა უფლებების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების, ღირსეული სამუშაოსა და მდგრადი საცხოვრებელი საშუალებების (sustainable livelihoods) უზრუნველყოფის ჩათვლით.

2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... მხარს უჭერენ და პრაქტიკაში იყენებენ განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლობას, რომელიც გულისხმობს გენდერულ თანასწორობას, ასახავს ქალთა ინტერესებს და გამოცდილებას და, ამავდროულად, მხარს უჭერს ქალთა ძალისხმევას, მოახდინონ ინდივიდუალური თუ საერთო უფლებების რეალიზაცია, მოგვევლინონ განვითარების პროცესის სრულყოფილიან აქტორებად.

მდგრადი განვითარების მისაღებად, აუცილებელია მიღწეულ იქნეს გენდერული თანასწორობა ნებისმიერ სფეროში უთანასწორობის აღმოფხვრისა და ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის გზით. ქალთა და გოგონათა დაუცველობისა და მარგინალიზაციის შენარჩუნებას ხელს უწყობს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად: ეკონომიკური დისკრიმინაცია, მავნე ტრადიციული ჩვევები, სექსუალური ექსპლუატაცია და გენდერული ძალადობა. გენდერული თანასწორობის გზით უფლებების მინიჭება ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების მიერ შესაძლებლობების თანაბარ გამოყენებას, მათ ხელმისაწვდომობას რესურსებზე და მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში ნებისმიერ დონეზე. რადგან ქალთა კატეგორია არაერთგვაროვანია, მათი უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია დივერსიფიცირებული მიდგომა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან. განსაკუთრებით ეს ეხება ქალთა მარგინალიზებულ და ჩაგრულ ჯგუფებს. ამავე დროს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მამაკაცები და ყმანვილები უმნიშვნელოვანესი პარტნიორები არიან ამ საქმეში და ისინი სრულად უნდა იყვნენ ჩაბმული აღნიშნულ პროცესში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავადაც არ არიან თავისუფალი გენდერული უთანასწორობის გავლენისგან. გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლა უფრო მეტია, ვიდრე ქალებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. არსებითი მნიშვნელობა აქვს, ასევე უფლებრივი უთანასწორობის აღმოფხვრას ქალთა და მამაკაცთა შორის, ბრძოლას დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. მაგალითად, ქალთა მონაწილეობა არ არის საკმარისი გარანტია იმისა, რომ მათი უფლებები და მოთხოვნები სათანადოდ იქნება დაცული და გათვალისწინებული და ამით საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძირეულად გაითავისებენ გენდერული უთანასწორობის პრობლემას. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სრულყოფილი რეალიზებისათვის აუცილებელია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების უფლებების, მათ შორის რეპროდუქციული უფლებების დაცვას. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მათ მიეცეთ საკუთარი შესაძლებლობების სრულად განხორციელების საშუალება. ქალთა ორგანიზაციები და მოძრაობები განვითარების უმნიშვნელოვანესი აქტორებია, ხოლო მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ქალთა შესაძლებლობებისა და დემოკრატიზაციის მისაღწევად აუცილებელი კომპონენტი.

სახელმძღვანელო მითითებები

ა) **დანერგეთ გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების ინტეგრირება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითად საქმიანობაში.** საზოგადოების ორგანიზაციულ მოწყობაში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, განსაკუთრებით კი კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW). ეს უნდა

აისახოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მანდატში, პოლიტიკაში, პარტნიორებთან დიალოგში, ადამიანური და ფინანსური რესურსების გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებულ განაწილებასა და ქალთა შესაძლებლობების რეალიზაციის პროგრამებში, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება როგორც მისივე პერსონალი, ასევე პარტნიორებიც.

ბ) ჩართეთ დეტალური გენდერული მაჩვენებლები და ანალიზი საპროგრამო გეგმებში იმგვარად, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაგეგმვა, დანერგვა, ადვოკატირება, მონიტორინგი და შეფასება ეფუძნებოდეს ყოვლისმომცველ გენდერულ ანალიზს, ისევე როგორც გენდერული თანასწორობისა და ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის მაჩვენებლებს.

გ) ჩადეთ ინვესტიცია პარტნიორულ პროგრამებში, იმისათვის რომ, გაზარდოთ გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და ქალთა უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ამასთანავე, სერიოზული დახმარება გაუწიეთ ქალთა ორგანიზაციებსა და მოძრაობებს. წაახალისეთ მამაკაცებისა და ყმაწვილების მონაწილეობა და დაინტერესება პროცესში.

დ) ეძიეთ შესაძლებლობები დაინტერესებულ მხარეთა მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგებისათვის, რათა ხელი შეუწყოს კონკრეტული გარემოსათვის მისაღებ ცვლილებებს და უზრუნველყოს ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დაცვა, მათი ეკონომიკური გაძლიერება, ლიდერობა და მეტი კონტროლი სანარმოო რესურსებზე, ასევე ფართო პოლიტიკური მონაწილეობა საკუთარი სტრატეგიული ინტერესების განსამტკიცებლად.

3. ყურადღების გამახვილება ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებაზე, დემოკრატიულ თანამონაწილეობასა და ჩართულობაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია, როდესაც ისინი... მხარს უჭერენ ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებას და სრულფასოვან ჩართულობას დემოკრატიული თანამონაწილეობის გასაღრმავებლად იმ პოლიტიკასა და განვითარების ინიციატივებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მოსახლეობას, რომელიც სიღარიბისა და მარგინალიზაციის პირობებში ცხოვრობს.

განვითარება მისაღები და ქმედითა მაშინ, როდესაც ის ეფუძნება სამიზნე მოსახლეობის უფლებებს, დეკლარირებულ პრიორიტეტებსა და ადგილობრივ ცოდნას. ამა თუ იმ მიზეზის გამო, დაჩაგრული მოსახლეობა განვითარებით ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარეა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშაობენ რა ადამიანის უფლებების დაცვისა და სასიკეთო ცვლილებების ხელის შესწყოებად, მათ პატივი უნდა სცენ ადგილობრივი საზოგადოებების ტრადიციებსა და კულტურას. შესაძლებლობების გაფართოებაზე ორიენტირებული საქმიანობა აძლიერებს ქალებისა და მამაკაცების ერთობლივ შესაძლებლობებს და აფართოებს მათ დემოკრატიულ თანამონაწილეობას. ამავე დროს, ისინი განიხილებიან ამ პროცესის აქტიურ მონაწილეებად, რომლებიც იცავენ როგორც საკუთარ, ასევე ეროვნულ და საზოგადოებრივ უფლებებსაც. ამგვარად, დაზარალებულ ჯგუფებს უჩნდებათ მეტი გავლენა, გადანყვეტილების მიღების უფლება და რესურსები, რაც საშუალებას აძლევს მართონ პროცესები, რომლებიც აყალიბებს მათ ცხოვრებას, ცხოვრებას, რომელიც თავისუფალია ძალადობისაგან. განვითარებასა და პოლიტიკურ კურსზე ზემოქმედების დემოკრატიულ უფლებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში. განვითარების ინიციატივებთან დაკავშირებით მთავრობებთან თანამშრომლობის პროცესში საზოგადოებრივი

ორგანიზაციები ცდილობენ მიაგონ გზას, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის საშუალებას მისცემს. ამავე დროს, ისინი იცავენ საზოგადოებრივი მოძრაობებისა და ორგანიზაციების თავისუფლებას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

სახელმძღვანელო მითითებები

- ა) საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამების შედგენისას ყურადღება გამახვილეთ იმ ქალებსა და მამაკაცების შესაძლებლობების გაფართოებაზე, რომელთა ცხოვრებაზეც განვითარების ინიციატივები უშუალო გავლენას ახდენს. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანებისა და დაჩაგრული და მარგინალური მოსახლეობის სოციალური მოძრაობების მოსაზრებებს, შემოთავაზებებს, განვითარებასთან დაკავშირებულ კითხვებს და მათ აქტივობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალების, გოგონების, მკვიდრი მოსახლეობის, მუშების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მიგრანტებისა და ადგილნაცვალ პირების ჩართულობაზე.
- ბ) ადგილობრივი დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებისას წაახალისეთ ქვედა ფენების მონაწილეობა და შეუერთეთ მათი ხმა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივისტების ხმებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამებისათვის ეროვნული თუ ადგილობრივი პრიორიტეტების ჩამოყალიბებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქალთა ინტერესების გათვალისწინება.
- გ) განამტკიცეთ სიღარიბეში მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების, ასევე პოლიტიკურად მარგინალური ჯგუფების ხმა განვითარების საჯარო პოლიტიკის განსაზღვრაში, ადვოკატირებასა და მონიტორინგში. ეს უნდა მოხდეს მულტი-აქტორული დიალოგისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების აპოლიტიკური აქტორების, გაძლიერების მეშვეობით.
- დ) განვითარების ყველა მონაწილეს მოეპყარით თანაბრად, განურჩევლად მათი სამართლებრივი სტატუსის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, განათლების, ეკონომიკური სტატუსის ან ასაკისა.
- ე) აამაღლეთ დონორი ქვეყნების ელექტორატის ინფორმირებულობა განვითარების რთულ რეალებთან დაკავშირებით. განვითარება უკავშირდება განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობების მიმართ სოლიდარობასა და თანადგომას და არა ცვლილებებს მათი სახელით.
- ვ) როდესაც მოქმედებთ, როგორც დონორი, ჩადეთ ინვესტიციები საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოტენციალის გაძლიერებასა და მდგრად თვითგანვითარებაში, იმისათვის რომ, უზრუნველყოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოუკიდებლობა პროგრამების მართვის, ფინანსირების, ლიდერობისა და ადვოკატირების სფეროებში განვითარების სხვა აქტორებთან ერთად. ლიდერებს შორის უნდა იყვნენ ქალები და მარგინალური საზოგადოებები.

4. მდგრადი ეკოლოგიური გარემოს ხელის შეწყობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... შეიმუშავენ და დანერგავენ პრიორიტეტებსა და მიდგომებს, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი ეკოლოგიური გარემოს შექმნას თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის. ეს გულისხმობს სწრაფ რეაგირებას კლიმატურ კრიზისებზე, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას

სოციალ-ეკონომიკურ, კულტურულ და ადგილობრივ პირობებზე, რაც თავსიძვრივ უზრუნველყოფს ეკოლოგიურ მთლიანობას და სამართლიანობას.

თანამედროვე და მომავალი თაობების ადამიანის უფლებები დამოკიდებულია განვითარების ისეთ გზებსა და სტრატეგიებზე, რომელთა ქვაკუთხედიც იქნება მდგრადი განვითარება დედამიწისათვის ზიანის მიუყენებლად. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს და იმუშაოს ჯანმრთელ და მდგრად გარემოში. რთული ეკოლოგიური ამოცანები, მათ შორის კლიმატური ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის აუცილებლობა, მოითხოვს გარკვეული ჩვევებისა და უნარების გამომუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის შენარჩუნებას, ჰუმანიტარულ განვითარებას და მოიცავს ყველა დაზარალებულ ჯგუფს. ამ ამოცანებთან გასამკლავებლად საჭიროა ეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერება და მათი ახლებური გადაწყვეტა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ეკოლოგიური და კლიმატური სამართლიანობის პრინციპებს, ასევე პოლიტიკურ კურსთან შეთანხმებულ ქმედებებს. მილიონობით ქალი და მამაკაცი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რაშიც მათ არ მიუძღვით ბრალი და აქედან გამომდინარე, არც პასუხისმგებლები არიან იმ მიზეზებზე, რისი შედეგიცაა ეს მძიმე ეკოლოგიური და კლიმატური კრიზისები. განვითარებისკენ მიმართული საქმიანობის პროცესში, სოციალური კეთილდღეობის, ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადობის საკითხებზე მუშაობისას, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ადგილობრივ სოციალ-ეკონომიკურ პირობებს, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ და ტრადიციულ მიდგომებს.

სახელმძღვანელო მითითებები

- ა) მკაფიოდ გამოკვეთეთ ეკოლოგიური საკითხები საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტრატეგიაში, საქმიანობაში, პროგრამულ დაგეგმვაში, პროპაგანდასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში.** იზრუნეთ გარემოს გრძელვადიან ეკოლოგიურ სისუფთავეზე, მოუსმინეთ და დაეხმარეთ ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს და აღიარეთ ორივე სქესის წარმომადგენლების თანაბარი როლი გარემოსდაცვით ღონისძიებებში.
- ბ) დაამყარეთ სტრატეგიული კავშირები და თანამშრომლობა** საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გარემოს დაცვისა და განვითარების ინიციატივებში. გააძლიერეთ ორივე სექტორის შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყოს მდგრად ეკოლოგიურ განვითარებას.
- გ) ხელი შეუწყვეთ და აღიარეთ ყველა ადამიანის უფლება – იცხოვროს და იმუშაოს ჯანმრთელ გარემოში; მხარი დაუჭირეთ ადგილობრივი საზოგადოებების ზრუნვას გარემოზე.** გაითვალისწინეთ, როგორც განვითარების ეროვნული სტრატეგიები და ქმედებები, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის მიმართ.
- დ) პატივი ეცით უფლებას ნყალზე, მინაზე, საკვებზე, თავშესაფარსა და ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე** იმათ მიერ, ვინც სიღარიბისა და მარგინალიზაციის პირობებში ცხოვრობს (მაგალითად, მკვიდრი და სოფლად მცხოვრები ფერმერი ქალები). უნდა წახალისდეს მათი აქტიური მონაწილეობა ეკოლოგიური ღონისძიებებისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების შესახებ გადანიშნულ ქმედებების მიღებაში. აწარმოეთ მულტი-აქტორული დიალოგი, იმისათვის რომ, ხელისუფლება ანგარიშვალდებული გახადოთ.

ე) მოახდინეთ ზეგავლენა პოლიტიკურ კურსზე და განახორციელეთ კონკრეტულ გარემოს მორგებული ინიციატივები, რათა შეასუსტოთ კლიმატური ცვლილების უარყოფითი გავლენა, ბიომრავალფეროვნების შემცირება და გარემოს დეგრადაციისა და დაბინძურების სხვა ნებისმიერი ფორმა (მაგალითად, წყლის რესურსები და მინა). პოლიტიკასა და ინიციატივებში ინტეგრირებული უნდა იყოს ადგილობრივი სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და ბუნებრივი პირობები, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე მოსახლეობების ცოდნასა და გამოცდილებას.

5. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანერგვა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... გამჭვირვალობის, მრავალმხრივი ანგარიშვალდებულებისა და შიდა ოპერაციების კეთილსინდისიერების შესრულების მიმართ ორგანიზაციული ერთგულების დემონსტრირებას ახდენენ.

გამჭვირვალობა, ურთიერთ და მრავალმხრივი ანგარიშვალდებულება, შიდა საქმიანობის დემოკრატიულობა განამტკიცებს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ღირებულებას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება იმსახურებს საზოგადოების ნდობას და, ამავდროულად, აძლიერებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საიმედოობასა და ლეგიტიმურობას. ინფორმაციის დემოკრატიზაცია, მისი სულ უფრო და უფრო აქტიური გაცვლა-გამოცვლა დაინტერესებულ მხარეებს შორის, აძლიერებს როგორც სამოქალაქო საზოგადოებას, ისე დემოკრატიულ კულტურას. გამჭვირვალობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების არსებითი წინა პირობაა.

ანგარიშვალდებულება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგებით. ერთი მხრივ, ის უნდა ამყარებდეს ინსტიტუციონალურ ერთიანობას, მეორე მხრივ, ხელს უწყობდეს საჯარო ურთიერთშეფასებებს მონაწილე მხარეთა მიერ; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანგარიშვალდებულებას სამიზნე მოსახლეობების წინაშე. სათემო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხშირად გარკვეული უპირატესობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულების დანერგვაში. შეიძლება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანერგვა შეაფერხოს სირთულეებმა, რომლებსაც აწყდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძლიერი რეპრესიული რეჟიმებისა და კანონების ან შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში.

სახელმძღვანელო მითითებები

ა) ხელი შეუწყვეთ საჯარო ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრაქტიკას, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმისაწვდომობისა და სანდოობის გაზრდის საშუალებებს.

ბ) შექმენით საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთ და მრავალმხრივი ანგარიშვალდებულების საფუძვლები ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პოლიტიკისა და დოკუმენტების ადვილი საჯარო ხელმისაწვდომობის მეშვეობით. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, პარტნიორთა დაფინანსების კრიტერიუმები და მიმდინარე აუდიტირებული ფინანსური და პროგრამული ანგარიშები. რა თქმა უნდა, ეს ანგარიშები უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ბუნებასა და კონკრეტულ სამუშაო გარემოს; სულ ცოტა, ისინი უნდა ეფუძნებოდეს სამართლისა და ეთიკის სტანდარტებს. პოლიტიკასა და დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა არასოდეს უნდა უქმნიდეს საფრთხეს პარტნიორი ორგანიზაციების ქმედითობას ან არსებობას.

გ) დანერგეთ პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთ და მრავალმხრივ ანგარიშვალდებულებას. ამისათვის აუცილებელია თავი აარიდოთ ძალაუფლების გამოყენებას ურთიერთობებში; მზად იყოთ გამონვევებისა და კრიტიკის მისაღებად; მოიზიდოთ აუცილებელი რესურსები; დაადგინოთ შეთანხმებული სტანდარტები გენდერულად გაცნობიერებული, თანასწორი, სამართლიანი, ღია და რეგულარული დიალოგისათვის. უნდა შეიმუშაოთ ავტორიტარული და უღირსი ქმედებებისგან დაცვის სამართლიანი მექანიზმიც.

დ) როდესაც დონორის ფუნქციას ასრულებთ, უზრუნველყავით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა პარტნიორი ორგანიზაციის შესახებ; მათ შორის, დაფინანსების წყაროების შესახებ ურთიერთანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების შესაბამისად. აღიარებული უნდა იყოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის პირადულობა და კონფიდენციალურობა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ვინმეს სიცოცხლეს ან პარტნიორ ორგანიზაციას. შესაძლოა, დაწესდეს შეზღუდვები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მაშინაც, როდესაც ამას მოითხოვს პარტნიორი ორგანიზაცია; ამ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა.

ე) უზრუნველყავით დროული, ზუსტი და ხელმისაწვდომი პასუხები, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში დეტალური გენდერული ინფორმაციის ჩათვლით. ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე.

ვ) ხელი შეუწყვეთ და პრაქტიკაში განახორციელეთ ორგანიზაციის შიდა რეგულირების გამჭვირვალე და დემოკრატიული კულტურა: ანგარიშვალდებულები და ეფექტიანი ხელმძღვანელობის, ნათლად განერილი პასუხისმგებლობის, გამჭვირვალე სამოქმედო პროცედურების, ეთიკური საინფორმაციო პრაქტიკის, ანტიკორუფციული პოლიტიკის, გენდერული წონასწორობის და ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვის, ერთიანობის, პატიოსნებისა და გულწრფელობის პატივისცემის მეშვეობით.

6. თანასწორი პარტნიორობა და სოლიდარობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანი არიან მაშინ, როდესაც ისინი ... იღებენ ვალდებულებას, რომ ჰქონდეთ გამჭვირვალე ურთიერთობები საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და განვითარების სხვა აქტორებთან. ეს ურთიერთობები უნდა იყოს თავისუფალი და თანასწორი, უნდა ეფუძნებოდეს განვითარების საერთო მიზნებსა და ღირებულებებს, ურთიერთპატივისცემას, ნდობას, ორგანიზაციულ ავტონომიას, გრძელვადიან პარტნიორობას, სოლიდარობასა და გლობალურ მოქალაქეობრიობას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანი პარტნიორობა, მთელი თავისი მრავალფეროვნებით სოციალური სოლიდარობის გამოხატულებაა. ეს პარტნიორობა კიდევ უფრო გაძლიერდება ნებაყოფლობითი ძალისხმევით თანასწორი და ორმხრივი თანამშრომლობისა და კოორდინირების დასამყარებლად, რომელიც ურთიერთშეთანხმებულ მიზნებსა და საერთო ფასეულობებზე იქნება დაფუძნებული. პარტნიორობას ურთიერთსწავლებაში მოაქვს ცოდნა და გამოცდილება, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საზოგადოებების ძალისხმევას იმ სფეროებში, რომლებსაც უშუალო გავლენა აქვს მათ მომავალზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე ხელს უწყობენ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის სოლიდარობასა და ურთიერთკავშირს საზოგადოებრივი

ცნობიერების ამაღლებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გასაფართოებლად ყველა ქვეყანაში. განვითარების სფეროში ეფექტური პარტნიორობა მოითხოვს ხანგრძლივ თანამშრომლობას, იმისათვის რომ, მოხდეს შეთანხმება საერთო მიზნებსა და გრძელვადიან გეგმებზე, რომლებსაც განვითარებადი ქვეყნების პარტნიორთა ნდობა, პატივისცემა, სოლიდარობა და ლიდერობა დაეძვება საფუძვლად.

თანასწორი პარტნიორობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ ავტონომიას. ის შედეგია ყველა პარტნიორის ნებაყოფლობითი და ერთობლივი ძალისხმევისა, რომლის საბოლოო მიზანიც უთანასწორო ძალაუფლების დაბალანსებაა. უთანასწორო ძალაუფლებას კი ინვესტს არათანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებზე, სტრუქტურული და ისტორიული უთანასწორობები, გენდერული უთანასწორობა და ქალების გარიყვა, ზოგჯერ – დიდი სხვაობები შესაძლებლობებში. საერთაშორისო (გარე) საზოგადოებრივი ორგანიზაციების დანიშნულებაა შესაძლებლობების შექმნა და არა კარნახი განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის; ამ ორგანიზაციებმა კი არ უნდა ჩაანაცვლონ განვითარებადი ქვეყნების ორგანიზაციათა ხმები, არამედ უნდა გააძლიერონ ისინი.

მდგრადი და ფართო განვითარების შედეგები მიიღწევა განვითარების სხვადასხვა აქტორთან, განსაკუთრებით დონორებსა და მთავრობებთან ღირსეული თანამშრომლობისა და მიზანმიმართული კოორდინაციის გზით. ამავე დროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან სრულუფლებიანი აქტორები, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი სახელით და არა, როგორც დონორების ან მთავრობების დამხმარე საშუალებები. კოორდინაციის საფუძველი უნდა იყოს ურთიერთპატივისცემა, შეთანხმება კონკრეტულ სფეროებზე, განვითარების მიზნებისა და სტრატეგიების ერთმანეთისათვის გაზიარება და თანასწორობა კოორდინაციისა და ურთიერთშეთანხმების პირობების ჩამოყალიბებაში.

სახელმძღვანელო მითითებები

- ა) გასაგებად და ცალსახად განსაზღვრეთ პარტნიორობის პირობები „პარტნიორობის ხელშეკრულებაში“.** ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული უნდა იყოს ურთიერთპატივისცემისა და თავისუფალი არჩევანის პირობებში, ნათლად ჩამოაყალიბეთ პასუხისმგებლობის, ნვლილის შეტანის, გადაწყვეტილების მიღებისა ანგარიშვალდებულების მექანიზმები. აუცილებელია რესურსების გააზრებული განაწილება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციების ურთიერთგაძლიერებას. პარტნიორობის პირობების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროცესებში ქალთა მონაწილეობას, მათ მიმართ პატივისცემასა და სტრატეგიულ გენდერულ მოთხოვნებს.
- ბ) დაგეგმეთ ყველა პარტნიორის ურთიერთშემავსებელი ქმედებები საერთო კვლევების, სტრატეგიული მიზნებისა და მონიტორინგის განსახორციელებლად და არა ვინრო საპროექტო კონტრაქტები.** ჩადეთ ინვესტიციები გრძელვადიან ურთიერთობებში, რომლებიც ემყარება პარტნიორულ ხელმძღვანელობას და განვითარების შესაბამის სტრატეგიებს; სათანადო ყურადღება დაუთმეთ საბაზისო ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას, ურთიერთანგარიშვალდებულებას, დიალოგს უთანხმოებათა გადასაწყვეტად და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას საერთო გეგმის შედგენაში.
- გ) როდესაც დონორის ფუნქციას ასრულებთ, მხარი დაუჭირეთ პარტნიორი ორგანიზაციების პროგრამულ მიზნებს, სტრატეგიებსა და ადმინისტრაციულ სისტემებს,** სადაც კი ეს შესაძლებელია. ჩაატარეთ სამუშაო, რათა მოხდეს მოთხოვნების ჰარმონიზაცია სხვა დონორებთან პარტნიორული სისტემის საფუძველზე.

დ) საერთო მიზნების მისაღწევად, გააძლიერეთ თანამშრომლობა სოლიდარობისა და სინერჯის დასამკვიდრებლად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. გამოიყენეთ უკვე არსებული შესაძლებლობები და სტრუქტურები, როგორცაა პლატფორმები, კოალიციები და სისტემები და წაახალისეთ თანამშრომლობის ახალი ფორმები და განვითარების სხვა აქტორთა, მაგალითად, მეცნიერთა თანამონაწილეობა.

ე) დაადგინეთ ურთიერთშეთანხმებული პირობები და მექანიზმები მიმდინარე რისკმენეჯმენტის, მონიტორინგის, შეფასების, ინფორმაციის გაცვლისა და თანასწავლების პროცესებისთვის.

ვ) ჩადეთ ინვესტიცია საჯარო ჩართულობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, რომლებიც ადგილობრივ პირობებსა და პრობლემებს აკავშირებს პარტნიორთა რეაქციებთან და გამოცდილებასთან. ამავე დროს, ეს ხელს შეუწყობს ხალხთა შორის უშუალო ურთიერთობებს, სოლიდარობას და ღრმა, არსებით ურთიერთგაგებასა და დამოკიდებულებას.

7. ცოდნის დაგროვება და გაზიარება. ზრუნვა ურთიერთგანათლებაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... აუმჯობესებენ სწავლის მეთოდებს საკუთარი გამოცდილებისგან, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და განვითარების სხვა აქტორებისგან. თავს უყრიან ინფორმაციას, რომელსაც იღებენ განვითარების სფეროში განხორციელებული საქმიანობებისა და მათი შედეგებისგან, ასევე მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი გაერთიანებების ცოდნისა და გამოცდილებისგან. ყოველივე ამის შედეგად, შემოაქვთ სიახლე და საფუძველს უმაგრებენ საკუთარ ხედვას სასურველი მომავლის შესახებ.

განათლებაზე ორიენტირებული მიზნობრივი თანამშრომლობის პროცესები წარმოადგენს შეუცვლელ საფუძველს მდგრადი განვითარების შედეგებისა და გავლენის შესაფასებლად, ისევე როგორც სინერჯის დასამყარებლად განვითარების სხვადასხვა აქტორს შორის. განვითარების სფეროში, განათლება მოითხოვს ეფექტიან მექანიზმებს როგორც თვითშემეცნების, ასევე ინფორმაციისა და ცოდნის ურთიერთგაზიარებისათვის. ის მოიცავს, ასევე ცოდნის ურთიერთგაზიარებას კოლეგებს, თანამოაზრეებს, მოხალისეებს, პარტნიორებს, მოსახლეობასა და სხვა მონაწილეებს შორის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმყოფებიან განუწყვეტლივ სწავლის პროცესში, ამიტომ, ინფორმაციის დაგროვება, გაზიარება და გამოყენება საკუთარი სტრატეგიებისა და სამუშაო პროცესის უმთავრეს კომპონენტად უნდა აქციონ. სწავლისადმი ასეთი მიდგომა უნდა იყოს თვითგანსაზღვრული, უწყვეტი, კოლექტიური და განმეორებადი. ის უნდა ეფუძნებოდეს მონაწილეობას, საჯაროობასა და ნდობას. ურთიერთგანათლების პროცესები ხელს უწყობს პარტნიორებს შორის პატივისცემისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას. განსაკუთრებით ეს ეხება ურთიერთგანათლებას ისეთ სფეროებში, როგორებიც არის ადგილობრივი ცოდნა, კულტურა, გენდერული ურთიერთობები, ფასეულობები, სულიერება და მუშაობის სხვადასხვა მეთოდი. ასეთი განათლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გაცნობიერებული და აღმოფხვრილია ძალაუფლების დისბალანსი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ქვეყნის ურთიერთგანათლებას. ქმედითობის კარგად გათვლილი და სათანადოდ უზრუნველყოფილი ზრდა ხელს უწყობს ორგანიზაციულ სწავლებას და დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ზრდაში. რეგულარული რაოდენობრივი შეფასებები,

მჭიდრო თანამშრომლობა განვითარების პარტნიორებთან და სხვა აქტორებთან, აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტრატეგიების, პრიორიტეტებისა და სამუშაო მეთოდოლოგიების ადაპტირებისა და დახვეწისათვის. ამავ დროს, ორგანიზაციული სწავლება უნდა სცდებოდეს მოკლევადიან პროცესებს, რომლებიც მხოლოდ „პირველადი შედეგების მიღებას“ გულისხმობს.

სახელმძღვანელო მითითებები

- ა) შექმენით შესაძლებლობები და ხელშემწყობი გარემო სისტემატური ურთიერთგანათლებისა და ცოდნის გაზიარებისათვის** ინსტიტუციონალურ და პროგრამულ საქმიანობებში მონაწილეობის, საჯაროობისა და ნდობის საფუძველზე როგორც ორგანიზაციებს შიგნით, ასევე მათ შორის. მიღებული გაკვეთილების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, თუ როგორი იქნება ორგანიზაციული გადამწყვეტილებების მიღების პროცესები, თეორია და პრაქტიკა.
- ბ) ჩამოაყალიბეთ პროფესიული და ეთიკურად გამართლებული მეთოდები და საშუალებები**, რათა შესძლოთ იმ სანდო მასალისა და ინფორმაციის სწორად შერჩევა, რომლითაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცოდნა უნდა შეივსოს.
- გ) წახალისეთ თანამშრომლობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნის გაზიარებაზე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის სხვადასხვა კავშირის, კოალიციისა და მულტი-აქტორული დიალოგების საშუალებით**, რათა ხელი შეუწყოს სიახლეების დანერგვას და შესაძლებლობების ზრდას, რაც განვითარების სფეროში მიღწეული შედეგების გაუმჯობესებამდე მიგვიყვანს.
- დ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივებსა და პოლიტიკურ დიალოგებში პატივი ეცით ადგილობრივ ცოდნას, წინაპართა სიბრძნესა და სულიერებას.** მხარი დაუჭირეთ განსხვავებულ მიდგომებს განვითარების სფეროში და ბუნებრივი რესურსების მართვაში.

8. იზრუნეთ მდგრადი დადებითი ცვლილების მიღებაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... თანამშრომლობენ, იმისათვის რომ, მიაღწიონ მდგრად შედეგებს და მნიშვნელოვან ცვლილებებს თავიანთი საქმიანობის შედეგად; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გრძელვადიანი ცვლილებების მნიშვნელობას ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ღარიბი და მარგინალური ჯგუფებისათვის; უტოვებენ მყარ მემკვიდრეობას ახლანდელ და მომავალ თაობებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები განვითარების მდგრად შედეგებს აღწევენ გრძელვადიანი ვალდებულებების აღების, პარტნიორობის, საზოგადოების ქმედითობის და მოსახლეობასთან სოლიდარობის საშუალებით. დადებითი ცვლილებების შესანარჩუნებლად აუცილებელია, ასევე განვითარების აქტორების ურთიერთშემავსებელი საქმიანობა და ყურადღების გამახვილება უთანასწორობის, სიღარიბისა და მარგინალიზაციის ძირეულ მიზეზებზე. პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მშვიდობის დამყარებისა და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. მსგავს სიტუაციებში, როდესაც შემცირებულია სახელმწიფოს როლი და შესაძლებლობები, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არსებითი წვლილი შეაქვთ იქ მიმდინარე პროცესებში; ამ დროს, მათ უნდა შეასრულონ დამხმარე როლი და არ უნდა აიღონ საკუთარ თავზე სახელმწიფო ვალდებულებები. სწორედ სახელმწიფო ვალდებულებაა

საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მათ შორის განათლება და ჯანდაცვა და ამ მომსახურებაზე პასუხისმგებლობა. თუმცა, ხანდახან საჭიროა დახმარების განწვევა ხელისუფლებისათვის, რათა მან შეძლოს აღნიშნული საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა სამუშაო ხშირად რთული და ხანგრძლივია, კარგად ესმით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის შედეგებისა და მდგრადობის შეფასება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში მდგრადი ცვლილებების მისაღწევად აუცილებელია გენდერული თანასწორობის დაცვა მის ყველა ასპექტში. პოზიტიურ სოციალურ ცვლილებებში, მათ შორის გენდერულ თანასწორობაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეტანილი წვლილის ეფექტიანობა უნდა შეფასდეს ადგილობრივი პარტნიორებისა და მოსახლეობის შეხედულებათა გათვალისწინებით. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფართო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოწვეული ცვლილებების მდგრადობაზე, განსაკუთრებით კი – კონფლიქტურ ან პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში.

სახელმძღვანელო მითითებები

- ა) გააღრმავეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა და პოლიტიკური დიალოგი განვითარების სხვა აქტორებთან, რათა შეძლოთ გაზიარებული და ურთიერთშეთანხმებული მიზნების მისაღწევად განეული საქმიანობისა და ადვოკატირების შედეგად მიღწეული ცვლილებების მაქსიმალიზება.** საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ მთავრობასთან ერთად, რათა განამტკიცონ სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.
- ბ) ჩართეთ კერძო სექტორი განვითარების პროგრამებში, მათ შორის დასაქმებასა და საარსებო საშუალებებზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების ინიციატივებში.** ამ საერთო ძალისხმევის საფუძველი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების, დემოკრატიული ჩართულობის, მართებული სამუშაოსა და მდგრადი განვითარების პატივისცემა. ყურადღება უნდა გამახვილდეს მდგრადი საარსებო საშუალებების საჭიროებებზე ურბანულ და სოფლის სიტუაციებში; ხელი შეეწყოს სოციალურ ჩართულობას და ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები, განსაკუთრებით არაფორმალური სექტორის, ქალებისა და საზოგადოების დაუცველი სეგმენტებისთვის.
- გ) გამოიყენეთ თანამონაწილეობითი მეთოდები განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობების დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასებისათვის,** პროგრამების განხორციელებისა და ადვოკატირების ჩათვლით. უნდა გაიზარდოს პერსონალის, მოხალისეებისა და პარტნიორების ანალიტიკური შესაძლებლობები; ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირობების განსაზღვრასა და შეფასებას, რომლებიც აუცილებელია გრძელვადიანი მდგრადი შედეგების მისაღწევად და გააუმჯობესებს სიღარიბეში ან მარგინალურ პირობებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრებას.
- დ) გააუმჯობესეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობები სპეციალური გაფართოებული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: თანასწორი პარტნიორობა, ადვოკატირება, გენდერული თანასწორობა, ურთიერთდახმარება და საბოლოო შედეგების შეფასება.**

ე) აამაღლეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა და დამოუკიდებლობა მათი დაფინანსების ბაზის გაფართოებით, სადაც ეს შესაძლებელია, რათა შემცირდეს პოლიტიკური დამოკიდებულება ან პირობადებული დახმარება.

ვ) პროცესში ჩართეთ და გაანათლეთ ადამიანები, როგორც მსოფლიოს მოქალაქეები, რათა გამყარდეს ორმხრივი კომუნიკაციები პარტნიორებსა და მხარდამჭერებთან სწორი და სამართლიანი განვითარებისა და განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ნაწილი III. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გააქტიურების მექანიზმები

საზოგადოებრივი ორგანიზაციის მანდატი განსაზღვრავს მის პასუხისმგებლობას, იყოს სრულიად ანგარიშვალდებული ...

განვითარების ყველა აქტორი ინაწილებს პასუხისმგებლობას და ვალდებულია, წარმოადგინოს თავიანთი მოქმედებებისა და საქმიანობის შედეგები, განსაკუთრებით უშუალო და ყველაზე აქტიური მხარდამჭერების წინაშე. საზოგადოებრივი ორგანიზაციები აცნობიერებენ და სერიოზულად უდგებიან სტამბოლის მეხუთე პრინციპში ჩამოყალიბებულ მოვალეობას – გამჭვირვალედ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა განვითარების სფეროში და სრული პასუხისმგებლობა იტვირთონ მიღებულ შედეგებზე. მათი, როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის ნდობის მანდატში, რომლებიც ერთვის მათ სამუშაოს, როგორც გარანტია იმისა, რომ ცვლილებები მიმართული იქნება მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ და რომ, ეს ცვლილებები განხორციელდება მოსახლეობასა და მათი საქმიანობის მხარდამჭერ აქტივისტებთან ერთად. ეს პასუხისმგებლობა პრაქტიკაში ხორციელდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ანგარიშვალდებულების მექანიზმის დანერგვით, სხვადასხვა ორგანიზაციული და ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

როგორც განვითარების აქტორები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები საზოგადოებისა და ადგილობრივი აქტივისტების დიდი ნდობით სარგებლობენ. მათი უმეტესობა აკმაყოფილებს მენეჯმენტისა და პატიოსნების მაღალ სტანდარტებს. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუდმივად ეხმარებიან კანონიერ მოთხოვნას, გაზარდონ საკუთარი პასუხისმგებლობა და უფრო გამჭვირვალე გახადონ თავიანთი საქმიანობა. ამას ისინი ახორციელებენ კონტროლის გაძლიერებით არჩეულ დირექტორთა საბჭოს მხრიდან, პარტნიორებთან მუდმივი და გულახდილი დიალოგით, მხარდამჭერებთან უშუალო ურთიერთობით, ყველასათვის ხელმისაწვდომი ანგარიშების წარმოდგენით და გარე ფინანსური აუდიტით; ისინი ექვემდებარებიან სახელმწიფო მარეგულირებელი ზედამხედველობის სამსახურს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქცევის სხვადასხვა კოდექსს და იყენებენ მუშაობის გამჭვირვალე მექანიზმებს. ანგარიშვალდებულების მექანიზმებში საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, აგრეთვე თავისი პასუხისმგებლობის მრავალმხრივი ბუნება როგორც დონორ, ისე განვითარებად ქვეყნებში, პირველ რიგში, ძირითადი დაინტერესებული მხარეების, ასევე კოლეგების, პარტნიორების, საზოგადოებრივი ჯგუფების, საჯარო და კერძო დონორების წინაშე.

**საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ
ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობასთან
დაკავშირებული ინიციატივების მაგალითები**

- არასამთავრობო ორგანიზაციები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის (კოლუმბია) საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად.
- ანგარიშვალდებულების ქარტია (გლობალური), ხელმონერილი უდიდესი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.
- არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების რუკა (InterAction – აშშ), ინტერნეტპლატფორმა ჰაიტიზე კვების უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების თვალსაზრისით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული სამუშაოს შესახებ.
- არასამთავრობო ორგანიზაციების ეთიკური პრინციპების კოდექსი და მინიმალური სტანდარტები (კამბოჯის თანამშრომლობის კომიტეტი, CCC), თვითსერტიფიცირების სისტემა კამბოჯაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობის გასაუმჯობესებლად.

ღია ფორუმის „დანერგვის მეთოდებში“ მოცემულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მექანიზმების კიდევ არაერთი მაგალითი და წყარო.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები უშუალოდ აგებენ პასუხს თავიანთ ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალე საქმიანობაზე, მაგრამ მათი ძალისხმევა შესაძლებელია შეიზღუდოს რთულ პოლიტიკურ გარემოში მუშაობისას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებას შეიძლება დაბრკოლებები შეხვდეს იქ, სადაც მთავრობები ვერ ახერხებენ დაიცვან მოსახლეობის მარგინალური და დისკრიმინირებული ჯგუფების ფუნდამენტური უფლება, მონაწილეობა მიიღონ საჯარო პოლიტიკაში და შექმნან თემები ადგილობრივი განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების მექანიზმები შეიძლება მრავალი ფორმით იყოს გამოხატული. მათ შორისაა ნაკლებად ოფიციალური, ზოგჯერ უხილავი, ანგარიშვალდებულების პრაქტიკა, რომელიც უფრო პატარა, სათემო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არსებობს. ორგანიზაცია *One World Trust*-მა მოახდინა საზოგადოებრივი

ორგანიზაციების ნებაყოფლობითი ანგარიშვალდებულების ათობით მექანიზმის დოკუმენტირება, ადგილობრივიდან სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფოდან გლობალურ დონემდე (ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მიმდინარე ინიციატივების ზოგიერთი მაგალითისთვის იხილეთ ჩანართი). *Civicus*, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობილი გლობალური ქსელი, ახორციელებს მნიშვნელოვან მრავალწლიან პროგრამას (ლეგიტიმურობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სფეროში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარებას.

ანგარიშვალდებულების მექანიზმების დანერგვის პროცესში არსებული გამოწვევების აღიარება...

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თავიანთი ანგარიშვალდებულების წარმოდგენისას, მრავალ – შიდა და გარე – სპეციფიკურ პრაქტიკულ პრობლემას აწყდებიან. ამ პრობლემებს შორისაა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტორთა დიდი რაოდენობა და მრავალფეროვნება; მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს თანასწორ პარტნიორობას; ორგანიზაციებისა და ქმედებების ნებაყოფლობითობა; პოლიტიკური გარემოს ცვლილებებით გამოწვეული დაუგეგმავი შედეგები და ანგარიშვალდებულების მრავალმხრივი მოთხოვნა (სამართლებრივი, სახელმეკრულებო და ეთიკური). არ არსებობს ერთიანი მოდელი, რომელიც ერთნაირად შეეფერება ყვე-

ლა სიტუაციასა და ორგანიზაციის ტიპს. ამიტომ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიესალმებიან და ნაახალისებენ მათ მიერ უკვე მიღებული გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ეს იძლევა პრაქტიკული მიდგომების გაუმჯობესების საშუალებას ანგარიშვალდებულების ისეთი მიექანიზმების მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინდივიდუალურ და ერთობლივ ანგარიშვალდებულებას აძლიერებს.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მიმდინარე პროცესები და ანგარიშვალდებულებისადმი ერთგულება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს ფინანსური აუდიტის ყველასათვის ხელმისაწვდომი ანგარიშების მომზადებაა. საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ანგარიშვალდებულება ნიშნავს მაქსიმალურ ძალისხმევას სიღარიბეში მცხოვრები მოქალაქეების აზრის გასათვალისწინებლად. მიუხედავად ამისა, ანგარიშვალდებულების მიქანიზმები ხანდახან აწყდება პრაქტიკულ პრობლემებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეს ძალისხმევა ადგილობრივ თემებთან (grassroots communities), სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებთან და სხვა გავლენის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან დაკავშირებით. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხშირად უწევთ მუშაობა სხვადასხვა პარტნიორთან, მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური კურსისა და წესწყობილების პირობებში, რომლებსაც ადგენენ როგორც დონორი, ასევე განვითარებადი ქვეყნების მთავრობები. მათ ხშირად ექმნებათ არასახარბიელო საარსებო გარემო, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების დადგენილ ჩამონათვალზე.

სტამბოლის პრინციპები, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებულ პრინციპები, რომლებიც საზოგადოებრივ ორგანიზაციას საკუთარი ანგარიშვალდებულების ეფექტიანად განვითარების გზას უსახავს, ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ამ პრინციპების ადეკვატური ანგარიშვალდებულების ობიექტური სტანდარტები შეიძლება დამოკიდებული იყოს გარკვეულ გარემოებებზე და მათი განსაზღვრა და მონიტორინგი ზოგჯერ ძალიან რთულია. განსაკუთრებით ეს ეხება კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების მიქანიზმები ორიენტირებული უნდა იყოს განვითარების არა მხოლოდ გაზომვად შედეგებზე, არამედ ისეთ სფეროებზეც, როგორებიცაა ადვოკატირება და მობილიზაცია ცვლილებების მისაღწევად, რომელთა მიკუთვნება შედეგებთან არც ისე იოლია.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულებისათვის აუცილებელი კრიტერიუმია მათი საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. მაგრამ, სრული გამჭვირვალობის მისაღწევად, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გადაჭრან, აგრეთვე პრაქტიკული პრობლემები – დადგენილი ვადების დაცვა, ხარჯები, სამუშაო დატვირთვა, პარტნიორების და დაუცველი მოსახლეობის უფლებებისა და პირადი ინფორმაციის დაცვა... გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დადგენილი კონტექსტების მრავალფეროვნება – ორგანიზაციის მასშტაბი, ორგანიზაციული სისტემების გაუმჯობესების საჭიროება, პერსონალისა და მოხალისეების სწავლება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, ანგარიშგებისა და აუდიტის გაუმჯობესებული სისტემები ან მონიტორინგისა და შეფასებისათვის რესურსების გამოყოფის საჭიროება. გაერთიანების პროცესები (საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელები, ფედერაციები, კონფედერაციები, ა. შ.) შესაძლოა შეუცვლელი იარაღი აღმოჩნდეს საშუალო და მცირე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ანგარიშვალდებულების ერთობლივი მიქანიზმების მეშვეობით სასურველი შედეგის მისაღწევად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება...

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, სერიოზულად ეკიდებიან ვალდებულებას – იყვნენ ანგარიშვალდებული ყველა დაინტერესებული მხარის წინაშე მრავალი სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში. ამდენად, მათთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ანგარიშვალდებულების ნებაყოფლობით მექანიზმებს და არა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან თავსმოხვეულ „საკონტროლო რეგულაციებს“. მსოფლიო მასშტაბით არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ისეთი ნებაყოფლობითი მექანიზმების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას და ისინი საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ საკუთარი დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა შეინარჩუნონ.

თავისი ბუნების გამო, საიმედო ნებაყოფლობით მექანიზმებს განვითარების ხანგრძლივი პერიოდი და ცვალებად გარემოსთან მუდმივი ადაპტირება სჭირდება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთგულებას უმაღლესი სტანდარტის ისეთი პრაქტიკული მექანიზმებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფს აუცილებელი და ინოვაციური გზების გამოძებნას დაინტერესებულ მხარეებთან სრული თანხმობის მისაღწევად.

ანგარიშვალდებულების მექანიზმების აპრობირებული პრაქტიკა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარების გაუმჯობესების სახელმძღვანელო პრინციპები და ღია ფორუმის მეშვეობით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ქვეყნის მასშტაბით გამართული დიალოგი რამდენიმე სამომავლო ხედვას გვთავაზობს. ღია ფორუმი იძლევა რეკომენდაციებს ძირითად მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ანგარიშვალდებულების მექანიზმების განმტკიცებისკენ მიმართულ ძალისხმევას:

- 1. სტამბოლის პრინციპები და წინამდებარე დოკუმენტში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები საფუძველია** ანგარიშვალდებულების სტანდარტებისათვის; თავის მხრივ, ანგარიშვალდებულების მექანიზმებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ორგანიზაციული მმართველობის ფართო საკითხებზე.
- 2. ნებაყოფლობით მექანიზმებში ნათლად უნდა ჩანდეს, თუ ვინ, ვის წინაშე და რასთან დაკავშირებით არის ანგარიშვალდებული.**
- 3. ანგარიშვალდებულების ნებაყოფლობითი თვითრეგულირებადი მექანიზმებისა და მათი სპეციფიკური კონტექსტიდან გამომდინარე, მოთხოვნების უკეთ ჩამოყალიბება შესაძლებელია იმათთვის, ვისი სამუშაოს შეფასებაც შესაძლებელია.** სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა კონსულტაციების გამართვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ანგარიშვალდებულების მექანიზმებმა ხელი უნდა შეუწყოს საორგანიზაციო საქმიანობის დაუფლებასა და გამონწვევების საპასუხო ღონისძიებების გატარებას.
- 4. ქვეყნის კოდექსები და ანგარიშვალდებულების მექანიზმები ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ძირითადი დაინტერესებული მხარეებისათვის.** მათ წინაშე სრული ანგარიშვალდებულებისათვის აუცილებელია, რომ კომუნიკაცია იყოს გასაგები, ხელმისაწვდომი, ადეკვატური და ადგილობრივ კონტექსტს მორგებული.
- 5. მოქნილობასა და ადაპტაციის უნარს** არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ შესა-

ძლებელი იყოს ამ მექანიზმების რეალურად გამოყენება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ და ხშირად არაპროგნოზირებად პირობებში.

6. მექანიზმები უნდა იყოს შემუშავებული კეთილსინდისიერად და სხვებს თავზე არ უნდა ახვევდეს ისეთ პრინციპებსა და შედეგების შეფასების იმ პროცედურებს, რომლებიც მიუღებელია თვით ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის.

7. არსებული მექანიზმები და მიღებული გამოცდილება გამოყენებული უნდა იყოს ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად ქვეყნის დონეზე. კერძოდ, ეს უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებების მეშვეობით. ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებისას მნიშვნელოვანია საიმედო შეთანხმების დემონსტრირება; თავიდან უნდა იყოს აცილებული საკითხების გადაფარვა, განმეორება და მაღალი ოპერაციული დანახარჯები.

ნაწილი IV. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის მიღწევის აუცილებელი პირობები განვითარების სფეროში – სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკა

პრეამბულა

მიუხედავად მათი დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ არიან განვითარების აქტორები, რომლებიც სრული იზოლაციის პირობებში მუშაობენ. მათ შესაძლებლობაზე, იმოქმედონ განვითარების ეფექტიანობის პრინციპების შესაბამისად, გავლენას ახდენს ამ სფეროს სხვა აქტორები.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, როგორც განვითარების აქტორებზე, დიდ გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ისინი მუშაობენ. განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისა და ოფიციალური დონორების პოლიტიკა და მათ მიერ გატარებული ღონისძიებები გავლენას ახდენს და განსაზღვრავს განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვის შესაძლებლობებს. ამიტომ, სტამბოლის პრინციპების დანერგვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკაში, დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად თავსებადია სტამბოლის პრინციპებთან ხელისუფლების პოლიტიკურ კურსი, კანონები და ნორმები.

2008 წლის აკრის უმაღლესი დონის ფორუმზე ყველა დონორმა და მთავრობამ იტვირთა ვალდებულება, „ემუშავათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, რათა შეექმნათ ისეთი გარემო, რომელიც მაქსიმალურად გაზრდიდა მათ მიერ განვითარებაში შეტანილ წვლილს“. თუმცა, ამის შემდეგ მრავალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ჩრდილოეთსა

„ხელშემწყობი გარემო“ და „ხელშემწყობი სტანდარტები“

„ხელშემწყობი გარემო“ არის მთავრობების, ოფიციალური დონორებისა და განვითარების სხვა მონაწილეების მიერ შექმნილი პოლიტიკური (political) და პოლიტიკის (policy) გარემო, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაზე. „ხელშემწყობი სტანდარტები“ არის დონორებისა და მთავრობების მიერ ურთიერთკავშირში მყოფი კეთილგანწყობილი ქმედებების ერთობლიობა სამართლებრივ, მარეგულირებელ, ფისკალურ, საინფორმაციო, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრებს, რომ ხანგრძლივად და ეფექტიანად ჩაერთონ განვითარების პროცესებში.

და სამხრეთში საკუთარ თავზე გამოსცადა საარსებო და სამუშაო პირობების გაუარესება. ამიტომ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოუწოდებენ ყველა მთავრობასა და ოფიციალურ დონორს, რომ ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე, მათთან ერთად გადახედონ არსებულ კანონმდებლობას, ნორმებსა და კურსს, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების აქტორების საქმიანობაზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების აქტორებისთვის ანგარიშის განევა გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან მონაწილეობას განვითარების პროცესში მის ნებისმიერ ეტაპზე, განვითარების დაგეგმვისა და სტრატეგიების შემუშავების ჩათვლით.

ხელშემწყობი გარემოს შექმნის პრიორიტეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობისათვის განვითარების სფეროში

განვითარების ხელშემწყობი გარემო მრავალ კომპონენტს მოცავს. განვითარების აქტორებზე გავლენას ახდენს ხანგრძლივი და განმეორებადი გლობალური თუ ადგილობრივი ეკონომიკური, სოციალური და კლიმატური კრიზისები, ისევე როგორც კონფლიქტური ვითარება. გასათვალისწინებელია, აგრეთვე პოლიტიკური სიტუაციაც. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის არეალი როგორც განვითარებად, ისე დონორ ქვეყნებში, შემცირებულია სხვადასხვა ხარისხით. ათწლეულების განმავლობაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ინარჩუნებდნენ პარტნიორულ ურთიერთობებს, რათა მაქსიმალურად გაეზარდათ თავიანთი საქმიანობის გავლენა. მათთვის აუცილებელია გარემო, რომელშიც ისინი თავისუფლად აირჩევენ პარტნიორებს ურთიერთშეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე.

კერძო სექტორი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტორია, რომელიც გავლენას ახდენს განვითარებაზე. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრების გაძლიერებას და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების, მათ შორის არაოფიციალურ სექტორში მომუშავეთა უზრუნველყოფას ნორმალური სამუშაოთი. საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, როგორც განვითარების პროცესის მონაწილეებზე, გავლენას ახდენს კერძო მენარმეთა საქმიანობა. ეს განსაკუთრებით ეხება შემთხვევებს, როდესაც მათი საქმიანობა აფერხებს მდგრადი საარსებო პირობების ხელის შეწყობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელია კერძო სექტორის წარმომადგენლების თანამშრომლობა განვითარების სხვა აქტორებთან სოციალური დიალოგის მეშვეობით. მათ ხელი უნდა შეუწყონ განვითარების საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული მიზნების რეალიზებას და სიღარიბის შემცირებას. აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვის, გენდერული თანასწორობის, გარემოს მდგრადობისა და ღირსეული სამუშაო პირობების შესახებ არსებული კონვენციები და ნორმები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტები განვითარების სფეროში ადგენს პრინციპებს და შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რათა მათ შესძლონ საკუთარი საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესება. საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეხვდნენ მთავრობებს და ოფიციალურ დონორებს, რათა სტამბოლის პრინციპების საფუძველზე განეხილათ სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრული პოტენციალის გამოვლენას განვითარების საქმეში. მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს ვალდებულება აიღეს *აკრის სამოქმედო გეგმის (AAA)* ფარგლებში.

ამდენად, *ღია ფორუმი* მიესალმება და მხარს უჭერს განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის და ხელსაყრელი გარემოს მულტი-აქტორული სამუშაო ჯგუფის მიერ (the multi-stakeholder Task Team on CSO Development Effectiveness and Enabling Environment)

საქმიანობის გაგრძელებას; ასევე, იმ მნიშვნელოვან დასკვნებს, რომლებიც გააკეთა ამ ჯგუფმა დახმარების ეფექტიანობის უმაღლესი დონის მეოთხე ფორუმისათვის (2011 წლის აპრილში). ყოველივე ეს შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელის შემწყობი პირობების ჩამოყალიბებას და შემდგომ გაუმჯობესებას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპები განვითარების სფეროში ხელს უწყობს დახმარების ეფექტიანობის პარიზის პრინციპების უკეთ გამოყენებას...

2008 წლის აკრის სამოქმედო გეგმამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესთავაზა „ეფიქრათ, თუ როგორ შეიძლებოდა, მათი თვალსაზრისით, დახმარების ეფექტიანობის პარიზის პრინციპების გამოყენება საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ“ [AAA, & 20]. განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპები ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს, რომ უფრო კარგად ჩასწვდნენ პარიზის პრინციპების არსს და დაიცვან ისინი. სტამბოლის პრინციპებში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ჩამოყალიბებულია განვითარების ფართო, ყოვლისმომცველი და დემოკრატიული ასახვა, რასაც აკრის სამოქმედო გეგმა საკვანძო საკითხად მიიჩნევს „ათასწლეულის განვითარების მიზნებისა“ (MDG) და პარიზის დეკლარაციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

სტამბოლის პრინციპების შემუშავება და ღია ფორუმის მიერ მულტი-აქტორული დიალოგის გამართვის სურვილი ადასტურებს, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გადანიშნეს, გააფართოონ თავიანთი საქმიანობის არეალი და უპირატესობა მიანიჭონ კოორდინირებულ მუშაობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად „სიღარიბის დაძლევის საერთო ვალდებულების“ შესასრულებლად [AAA, &20, &32]. თუმცა, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი ხელშემწყობი სტანდარტების აუცილებელი მინიმუმი დონორებისა და მთავრობების მხრიდან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სტამბოლის პრინციპების განხორციელებისას დაბრკოლებები შეექმნებათ. ყველა მთავრობამ, როგორც პარიზის დეკლარაციისა და აკრის სამოქმედო გეგმის ხელის მომწერმა, ხელის შემწყობი გარემოს შესაქმნელად უნდა ითანამშრომლოს განვითარების ყველა აქტორთან, მათ შორის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთანაც. ამით მათი წვლილის მნიშვნელობა გაფართოვდება და დახმარებიდან განვითარების ეფექტიანობაში გადაიზრდება.

ხელის შემწყობი გარემოს როლი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობისათვის განვითარების სფეროში

1. ყველა მთავრობამ უნდა შეასრულოს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულება და ადამიანებს მისცეს ორგანიზებისა და განვითარების სფეროში მონაწილეობის საშუალება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი პერსონალი და მოხალისეები პოლიტიკურად, ფინანსურად და ინსტიტუციურად თითქმის ყველა ქვეყანაში მოწყვლადია. ეს მთავრობების ცვალებადი პოლიტიკითა და შემზღუდველი საქმიანობით არის გამოწვეული. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დამაფიქრებელია მთავრობების შემზღუდველი პოლიტიკის ზეგავლენა მათ სამართლებრივ და დემოკრატიულ გარემოზე. უფლებების მსგავსი შელახვის ნათელი გამოხატულებაა ყოვლისმომცველი ანტიტერორისტული კანონმდებლობა, შემზღუდველი სახელმწიფო ფინანსური და მარეგულირებელი რეჟიმები. ხშირად ადგილი აქვს, ასევე სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების „პოლიტიკური“ საქმიანობის შეზღუდვისა და ზოგჯერ რეპრესირებისათვის, როდესაც ისინი ადამიანის უფლე-

ბებს იცავენ ან მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებენ. ზოგჯერ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრს, განსაკუთრებით აფრიკელს, პრობლემები ექმნება ვიზების მიღებისას, მოგზაურობა კი უკავშირდება გამოცდილების გაზიარებასა და საქმიანობის რეგიონალური თუ გლობალური კოორდინაციის საკითხებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები აგრძელებენ მუშაობას მთავრობებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ დემოკრატიული მმართველობის განმტკიცებაში და განვითარებასთან დაკავშირებულ ინკლუზიურ საქმიანობაში. სახელმწიფოს დემოკრატიულობა გულისხმობს ისეთი კანონების, ნორმებისა და წესების დადგენას, რომლებიც აღიარებს რიგ ფუნდამენტურ პრინციპს (სტანდარტს), რომლებიც ჯანსაღი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობის წინა პირობებს წარმოადგენს.¹ მათ შორისაა:

- გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი აღიარება;
- გამოხატვის თავისუფლება;
- თავისუფალი გადაადგილების, მანევრირებისა და მოგზაურობის უფლება;
- სახელმწიფო მხრიდან დაუსაბუთებელი ჩარევის გარეშე საქმიანობის უფლება;
- სამართლებრივი სივრცე განვითარების სფეროში ლეგიტიმური ადგილის დასაჭერად აუცილებელი რესურსების მოსაძიებლად და მოსაპოვებლად.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, უზრუნველყონ დაცვა, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ერთიანობას ან მისი პერსონალისა და წევრების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიესალმებიან გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2010 წლის რეზოლუციას მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლების შესახებ. ისინი მოუწოდებენ ყველა მთავრობას, მჭიდროდ ითანამშრომლონ გაეროს სპიკერთან, რომელიც ამ უფლებების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს.

2. პარტნიორი მთავრობებისა და ოფიციალური დონორების ინტერესების არეალი

ა) საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღიარება, როგორც განვითარების დამოუკიდებელი აქტორებისა, რომლებიც საკუთარი სახელით მოქმედებენ

აკრის სამოქმედო გეგმის მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების დამოუკიდებელი აქტორების, აღიარება [820] მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეტანილი წვლილის განსასაზღვრად. საზოგადოებასთან, განსაკუთრებით სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებთან და დისკრიმინირებულ ჯგუფებთან არსებული მტკიცე კავშირები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განვითარების სფეროს განუყოფელ ნაწილად აქცევს. მათი მრავალმხრივი ფუნქცია, რომელიც მოიცავს ურთიერთმე-

¹ აღნიშნული პრინციპების მიმდევრობა და ფორმულირება აღებულია „სამოქალაქო საზოგადოების დაცვის საერთაშორისო პრინციპებიდან“, წყარო: [სამოქალაქო საზოგადოების დაცვა](http://www.wmd.org/projects/defending-civil-society), დემოკრატიის მსოფლიო მოძრაობის ანგარიში, 2008 წლის თებერვალი; ხელმისაწვდომია მისამართზე www.wmd.org/projects/defending-civil-society. ეს უფლებები გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტისა (ICCPR) და სხვა მრავალმხრივი და რეგიონალური ხელშეკრულებებით.

მავსებელ მომსახურებას, საზოგადოების ორგანიზებასა და მოქალაქეების ჩართვას განვითარების პროცესის ყველა ასპექტში, კი არ უნდა შეიკვეცოს, არამედ უნდა გაფართოვდეს. ყველა მთავრობამ უნდა დაადასტუროს და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების სრულფასოვანი აქტორების მონაწილეობა საკუთარი სახელით და განასხვაოს ისინი ისეთი სუბიექტებისაგან, როგორიცაა კერძო სექტორი.

ბ) დემოკრატიული პოლიტიკური (political) და პოლიტიკის (policy) დიალოგის გამართვა განვითარების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად

როგორც განვითარებადი, ისე დონორი ქვეყნების მთავრობებმა უნდა შექმნან პირობები საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო და შედეგის მომტანი მონაწილეობისათვის პოლიტიკურ და პოლიტიკის დიალოგში განვითარების ნებისმიერ დონეზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან ცოდნის დაგროვების ხელის შეწყობნი და გენერატორები განვითარების სფეროში. კერძოდ, მათ მიაქვთ სიღარიბეში მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების, გოგონებისა და ყმანვილების, მარგინალური ჯგუფების გამოცდილება და ხმა პოლიტიკისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელ პროცესებამდე. აუცილებელია ყველა აქტორის მჭიდრო თანამშრომლობა დემოკრატიული დიალოგის უნარ-ჩვევების გასამყარებლად, ურთიერთგაგებისა და ნდობის მოსაპოვებლად და დაგროვილი ინფორმაციის ერთმანეთისათვის გასაზიარებლად.

ღია ფორუმის პროცესებში მონაწილეობისას, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დოკუმენტურად დაასაბუთეს ბარიერების არსებობა, რომლებიც ხელს უშლის ყოვლისმომცველი პოლიტიკური და პოლიტიკის დიალოგის გამართვას. ეს ბარიერები უნდა მოიხსნას. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიღებული გამოცდილების საფუძველზე განსაზღვრეს ძირითადი პირობები არსებული ტენდენციების შესაცვლელად:

1. სხვადასხვა შეხედულების, განსაკუთრებით კი, სახალხო ორგანიზაციების, ქალთა ორგანიზაციებისა და მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მოსაზრებების სისტემატური გათვალისწინება;
2. მიზნისა და პროცესის გამჭვირვალობა და სიცხადე;
3. ინფორმაციაზე, მათ შორის სახელმწიფო სტრატეგიებსა და პროგრამულ გეგმებზე, თავისუფალი ხელმისაწვდომობა;
4. დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობა სამიზნე ჯგუფების ენაზე;
5. კონსულტაციების ვადების დადგენა, გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით;
6. სხვა აქტორების, განსაკუთრებით კი, პარლამენტარებისა და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობისა და წვლილის აღიარება;
7. შესაბამისი რესურსები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

მთავრობებმა და დონორებმა უნდა უზრუნველყონ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სრულფასოვანი კონსულტაცია ქვეყნის თავისებურებების შესაბამისი განვითარების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების შესახებ.

გ) პასუხისმგებლობის აღება განვითარების გამჭვირვალე და თანამიმდევრულ პოლიტიკაზე

მთავრობებმა პრაქტიკაში უნდა დანერგონ მართვის სათანადო პრინციპები, რომლებიც მოიცავს

განვითარების პრიორიტეტების, სტრატეგიების, გეგმებისა და ქმედებების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც დამკვირვებლებს, შეუძლიათ იყვნენ გარანტები, რომ საზოგადოებრივი რესურსები გამოიყენება სიღარიბის დაძლევისა და თანაბარი განვითარებისათვის. ანალოგიურად, ოფიციალურმა დონორებმა უნდა მიმართონ გამჭვირვალე და თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადგილსა და როლს დონორების სტრატეგიულ სტრუქტურასა და გეგმებში, სახელმწიფო მასშტაბის პროგრამების ჩათვლით.

დ) დაფინანსება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად განვითარების სფეროში

დონორებთან ურთიერთობა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმისაწვდომობას განვითარებისათვის აუცილებელ ფინანსებთან. როდესაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოქმედებენ როგორც დონორები, თანასწორუფლებიანი საქმიანი კავშირების ჩამოყალიბებისას ისინიც მრავალ ისეთსავე პრობლემას აწყდებიან, როგორსაც ოფიციალური დონორები. მაგრამ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხშირად ექმნებათ წინააღმდეგობები თვით ოფიციალური დონორების დაფინანსების მეთოდებისა და პოლიტიკის გამო. განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობა მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალური დონორები იხელმძღვანელებენ დაფინანსების ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხორციელდება: (1) შედეგებზე ორიენტირებული გრძელვადიანი პერსპექტივით, მოიცავს ფუნდამენტურ ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას და გულისხმობს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნავენ; (2) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივების გათვალისწინებით; (3) განსხვავებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის სხვადასხვა მასშტაბის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდასაჭერად; (4) პროგნოზირებადი, გამჭვირვალე, ადვილად აღსაქმელი და შეთანხმებული პირობებით; (5) ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის ხელშესაწყობად; (6) საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამირებისა და სიახლეების სრული სპექტრის მხარდასაჭერად, პოლიტიკის შემუშავებისა და ადვოკატირების ჩათვლით.

სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მარგინალური ჯგუფების ინტერესებს იცავს, საზოგადოებრივი საქონელია. მთავრობებმა უნდა დაადასტურონ სამოქალაქო საზოგადოების ეს მნიშვნელოვანი როლი მათდამი ფისკალური მხარდაჭერით, რათა გარანტირებული იყოს სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა უწყვეტი და მდგრადი ფუნქციონირება.

სტანდარტები, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელის შემწყობ გარემოს აყალიბებს ...

„დახმარების ეფექტიანობის სამუშაო ჯგუფის“ მულტი-აქტორულმა და თანამონაწილეობითმა ხასიათმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშემწყობი პირობების შესახებ, არსებული მონაცემების დოკუმენტირებისა და დიალოგის გამართვის უნიკალური შესაძლებლობა წარმოშვა. ღია ფორუმი მიესალმება განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის და ხელსაყრელი გარემოს მულტი-აქტორული სამუშაო ჯგუფის საქმიანობას და მის მიერ 2011 წელს მიღწეულ შეთანხმებას – დახმარების ეფექტიანობის უმაღლესი დონის მეოთხე ფორუმის ძირითადი გზავნილების შესახებ, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშემწყობი სტანდარტების ამაღლებაში შეტანილ მნიშვნელოვან პოზიტიურ წვლილს.

მულტი-აქტორულმა სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა მნიშვნელოვანი სტანდარტები ხუთ ძირითად სფეროში: (1) საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღიარება, როგორც განვითარების სრულფასო-

ვანი და დამოუკიდებელი აქტორებისა, რომლებიც საკუთარი სახელით მოქმედებენ; (2) ხელშემწყობი გარემოს შექმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებზე დაყრდნობით; (3) დონორების მხარდაჭერის გაძლიერება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ; (4) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის გაძლიერება განვითარების სფეროში; (5) ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ყველასათვის მისაღები რეკომენდაციებით, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ *სტამბოლის პრინციპების* განხორციელების ვალდებულებას (სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული მთავარი გზავნილები იხ. დანართ №3-ში).

პარიზის დეკლარაციის ხუთი პრინციპისა და აკრის სამოქმედო გეგმის სრული განხორციელება ხელმომწერ მთავრობებს ვალდებულებს ეფექტური ხელის შეწყობი გარემოს შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. *განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობისადმი მიძღვნილი ღია ფორუმი* მოუწოდებს პარიზის დეკლარაციის ყველა ხელმომწერს, სრულად დაიცვან ეს ვალდებულებები. წინამდებარე დოკუმენტი შეიძლება გახდეს მულტი-აქტორული დიალოგის საფუძველი ქვეყნის, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე, რომლის შედეგად გამოიცემა კანონები და ინსტრუქციები, შემუშავდება პოლიტიკა, რაც სრულ შესაძლებლობებს შეუქმნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც განვითარების აქტორებს.

ნაწილი V. სამოქმედო გეგმა

ღია ფორუმი იყო თვითგამორკვევის ექსტრაორდინარული გლობალური პროცესი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების ეფექტიანი აქტორების რაობის, როლისა და პრინციპების შესახებ. ამ პროცესის შედეგად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის შედგა გლობალური შეთანხმება – **საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტები განვითარების სფეროში**, რომელიც სიემ რიპში (კამბოჯა) ერთხმად მიიღო 70 ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების 240-მა წარმომადგენელმა. *სტანდარტები*, მის თანმხლებ დოკუმენტთან – „*დანერგვის მეთოდებთან*“ ერთად წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, სადაც არ უნდა მუშაობდნენ ისინია, რათა რეაგირება მოახდინონ სამიზნე ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების საჭიროებებზე და გახადონ სამყარო უფრო უკეთესი და სამართლიანი.

განვითარების ყველა აქტორი – საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მთავრობა და დონორები – ერთმანეთზეა დამოკიდებული და მათ უნდა ითანამშრომლონ იმისათვის, რომ შეძლონ განვითარების შედეგების ეფექტიანად რეალიზება სიღარიბეში მცხოვრები ადამიანებისა და მარგინალური ჯგუფებისათვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციების დინამიკურ სექტორში მათ საერთო ინტერესები ამოძრავებთ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბუსანის *უმალღესი დონის მეოთხე ფორუმზე, კორეაში* (HLF-4), მიდიან მტკიცე გადაწყვეტილებით – გააძლიერონ და გააუმჯობესონ ეს სექტორი, როგორც განვითარების აქტორებმა, რომლებიც *სტამბოლის პრინციპებით* ხელმძღვანელობენ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოუწოდებენ HLF-4-ში მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობას, აღიარონ ღია ფორუმის მუშაობის შედეგები და მიიღონ *სტამბოლის პრინციპები*, როგორც სამოქალაქო საზოგადოებების მხარდაჭერისა და დახმარების პოლიტიკის მთავარი საფუძველი განვითარების საქმეში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები პირობას დებენ, რომ HLF-4-ის დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტენ დისკუსიებს *სტამბოლის პრინციპების* დანერგვასა და მონიტორინგთან დაკავშირებით. ეს დისკუსიები გაიმართება მრავალ დონეზე – ქვეყნების მასშტაბით, სექტორულ შეხვედრებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თვითშეფასებისას, ასევე განვითარების სხვა აქტორებთან, მათ შორის სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების უშუალო წარმომადგენლებთან დიალოგის დროს.

განვითარების ყველა აქტორმა აქტიურად უნდა იმუშაოს ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად განვითარების საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული მიზნების, მათ შორის „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ბუნებრივია, რომ ეს ეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას, რომ უნდა გააუმჯობესონ განვითარებისათვის ბრძოლის მეთოდები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეაფასებენ და გააუმჯობესებენ ანგარიშვალდებულების მექანიზმებს გამოცდილებისა და დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით. ამავე დროს, ისინი აღიარებენ, რომ *განვითარების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპების* გამოყენებისას აუცილებელია მოცემული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინება. აღიარებული უნდა იყოს, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც განვითარების აქტორების, დამოუკიდებლობა და ავტონომია.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიესალმებიან განვითარებადი ქვეყნების მთავრობების, ოფიციალური დონორებისა და მრავალდარგოვანი ინსტიტუტების ვალდებულებას, გაიზიარონ განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანი მუშაობის განმსაზღვრელი პრინციპები და დააკმაყოფილონ მათი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი მოთხოვნები. ღია ფორუმი მიესალმება განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სამუშაო ჯგუფის შეთავაზებას, გაგრძელდეს მაღალი დონის დიალოგი HLF-4-მდე და მის შემდეგაც. ამავე დროს, ყველა დაინტერესებული მხარე როგორც კოლექტიურად, ასევე ინდივიდუალურად, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა გადაჭრან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე განვითარების სფეროში დარჩენილი პრობლემები.

განვითარების პროცესის ყველა მონაწილემ უნდა გააგრძელოს ერთობლივი მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად. ამისთვის აუცილებელია განვითარებისათვის თანამშრომლობის რეფორმირება. *საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტები განვითარების სფეროში*, თავისი პრინციპებით, ნორმებითა და სახელმძღვანელო დირექტივებით ამ რეფორმებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია.

დანართი №1. სტამბოლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის პრინციპები განვითარების სფეროში²

საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობა, მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნების დემოკრატიული ცხოვრების აუცილებელი და არსებითი ნიშანია. საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანამშრომლობენ განსხვავებულ ხალხებთან და იცავენ მათ უფლებებს. განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპების საფუძველია: ნებაყოფლობითობა, მრავალფეროვნება, უპარტიოება, ავტონომიურობა, არაძალადობა, ცვლილებებზე ორიენტირებული მუშაობა და თანამშრომლობა. ეს პრინციპები წარმართავს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობასა და მეთოდებს როგორც მშვიდობიან, ისე კონფლიქტურ სიტუაციებში, სხვადასხვა სფეროში – დაწყებული რიგით მოქალაქეებთან თანამშრომლობით, დამთავრებული პოლიტიკური კურსის მხარდაჭერით, საგანგებო ვითარებაში თუ გრძელვადიანი განვითარების პროგრამების განხორციელებისას.

1. აღიარე და დაიცავი ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია, როდესაც ისინი ... შეიმუშავენ და წერგავენ სტრატეგიებს, ღონისძიებებსა და მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების, მათ შორის – განვითარების, ღირსების, ღირსეული სამუშაოს, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანთა შორის თანასწორობის უფლების დაცვას.

2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... მხარს უჭერენ და პრაქტიკაში იყენებენ განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლობას, რომელიც გულისხმობს გენდერულ თანასწორობას, ასახავს ქალთა ინტერესებს და გამოცდილებას და, ამავედროულად, მხარს უჭერს ქალთა ძალისხმევას, მოახდინონ ინდივიდუალური თუ საერთო უფლებების რეალიზაცია, მოგვევლინონ განვითარების პროცესის სრულუფლებიან აქტორებად.

3. ყურადღების გამახვილება ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებაზე, დემოკრატიულ თანამონაწილეობასა და ჩართულობაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია, როდესაც ისინი... მხარს უჭერენ ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებას და სრულფასოვან ჩართულობას დემოკრატიული თანამონაწილეობის გასაღრმავებლად იმ პოლიტიკასა და განვითარების ინიციატივებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება მოსახლეობას, რომელიც სიღარიბისა და მარგინალიზაციის პირობებში ცხოვრობს.

4. მდგრადი ეკოლოგიური გარემოს ხელის შეწყობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები განვითარების მდგრად შედეგებს აღწევენ გრძელვადიანი ვალდებულებების აღების, პარტნიორობის, საზოგადოების ქმედითობის და მოსახლეობასთან სოლიდარობის საშუალებით. დადებითი ცვლილებების შესანარჩუნებლად აუცილებელია, ასევე განვითარების აქტორების ურთიერთშემავსებელი საქმიანობა და ყურადღების გამახვილება უთანასწორობის, სიღარიბისა და მარგინალიზაციის ძირეულ მიზეზებზე. პოსტკონფლიქტურ

² შენიშვნა: სტამბოლის პრინციპები, როგორც ეს შეთანხმებულია ღია ფორუმის საერთაშორისო ასამბლეაზე სტამბოლში, 2010 წლის 28-30 სექტემბერს, წარმოადგენს ღია ფორუმის განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო ვერსიის საფუძველს. ამ პრინციპების გადამუშავებული ვარიანტი მოცემულია წინამდებარე სტანდარტების მე-2 ვერსიაში, რომელთა ხილვაც შესაძლებელია ღია ფორუმის ვებ-გვერდზე: www.cso-effectiveness.org.

სიტუაციებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მშვიდობის დამყარებისა და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. მსგავს სიტუაციებში, როდესაც შემცირებულია სახელმწიფოს როლი და შესაძლებლობები, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არსებითი წვლილი შეაქვთ იქ მიმდინარე პროცესებში; ამ დროს, მათ უნდა შეასრულონ დამხმარე როლი და არ უნდა აიღონ საკუთარ თავზე სახელმწიფო ვალდებულებები. სწორედ სახელმწიფო ვალდებულებაა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მათ შორის განათლება და ჯანდაცვა და ამ მომსახურებაზე პასუხისმგებლობა. თუმცა, ხანდახან საჭიროა დახმარების განწევა ხელისუფლებისათვის, რათა მან შეძლოს აღნიშნული საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

5. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანერგვა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... გამჭვირვალობის, მრავალმხრივი ანგარიშვალდებულებისა და შიდა ოპერაციების კეთილსინდისიერების შესრულების მიმართ ორგანიზაციული ერთგულების დემონსტრირებას ახდენენ.

6. თანასწორი პარტნიორობა და სოლიდარობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... იღებენ ვალდებულებას, რომ ჰქონდეთ გამჭვირვალე ურთიერთობები საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და განვითარების სხვა აქტორებთან. ეს ურთიერთობები უნდა იყოს თავისუფალი და თანასწორი, უნდა ეფუძნებოდეს განვითარების საერთო მიზნებსა და ღირებულებებს, ურთიერთპატივისცემას, ნდობას, ორგანიზაციულ ავტონომიას, გრძელვადიან პარტნიორობას, სოლიდარობასა და გლობალურ მოქალაქეობრიობას.

7. ცოდნის დაგროვება და გაზიარება. ზრუნვა ურთიერთგანათლებაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... აუმჯობესებენ სწავლის მეთოდებს საკუთარი გამოცდილებისგან, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და განვითარების სხვა აქტორებისგან. თავს უყრიან ინფორმაციას, რომელსაც იღებენ განვითარების სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მათი შედეგებისგან, ასევე მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი გაერთიანებების ცოდნისა და გამოცდილებისგან. ყოველივე ამის შედეგად, შემოაქვთ სიახლე და საფუძველს უმაგრებენ საკუთარ ხედვას სასურველი მომავლის შესახებ.

8. იზრუნეთ მდგრადი დადებითი ცვლილების მიღებაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც განვითარების აქტორები, ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი ... თანამშრომლობენ, იმისათვის რომ, მიაღწიონ მდგრად შედეგებს და მნიშვნელოვან ცვლილებებს თავიანთი საქმიანობის შედეგად; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გრძელვადიანი ცვლილებების მნიშვნელობას ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ღარიბი და მარგინალური ჯგუფებისათვის; უტოვებენ მყარ მემკვიდრეობას ახლანდელ და მომავალ თაობებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ *სტამბოლის პრინციპებით* და გამოთქვამენ მზადყოფნას, განახორციელონ პროაქტიური ღონისძიებები განვითარების სფეროში თავიანთი საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მასზე სრული პასუხისმგებლობის ასაღებად. ასევე, მნიშვნელოვანია ყველა აქტორის ხელშემწყობი ეფექტური პოლიტიკა და საქმიანობა. ამ პრინციპებთან შესატყვისი ქმედებების მეშვეობით, დონორი და პარტნიორი ქვეყნების მთავრობები ადასტურებენ „აკრის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში დადებულ პირობას – „ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წვლილმა განვითარების სფეროში

თავის სრულ პოტენციალს მიაღწიოს“. ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები – გაერთიანების უფლება, შეკრების უფლება და გამოსატვის თავისუფლება. ეს ყველაფერი ერთად ეფექტიანი განვითარების წინა პირობაა.

**სტამბოლი, თურქეთი
2010 წლის 29 სექტემბერი**

დანართი №2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი განვითარების სფეროში

ადამიანები ერთიანდებიან, რათა დააარსონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც ნებაყოფლობითი, არამომგებიანი გამოსატყულება უფლებისა, რათა შეიტანონ ნვლილი განვითარებაში ნებაყოფლობითი გაერთიანების შექმნის გზით. ისინი წარმოადგენენ სოციალური სოლიდარობის, მომსახურებისა და მობილიზაციის უზრუნველმყოფ არხებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს უკეთ დაიცვან საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესების უფლება და აამენონ დემოკრატიული საზოგადოება. ადამიანები საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით ხელისუფლებისგან ითხოვენ ადამიანის უფლებების პატივისცემას, დაცვასა და უზრუნველყოფას და აქტიურად გამოსატყვენ თავიანთ „მოქალაქეობრიობას“.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ინდივიდუალურად თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და განვითარების სხვა აქტორებთან თანამშრომლობის გზით, ცდილობენ ...

ა) ადგილობრივი გაერთიანებების, ღარიბი და მარგინალური ჯგუფების მხარდაჭერა და ხელის შეწყობა თვითდახმარებასა და ლოკალურ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელებაში.

ბ) უზრუნველყონ ძირითადი მომსახურება და აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა ადგილობრივ დონეზე; კერძოდ, ხელი შეუწყონ სოციალური უზრუნველყოფის ისეთი სფეროების განვითარებას, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება, სასმელი წყლისა და სანიტარიული პირობების გაუმჯობესება; ამასთან, ადგილობრივ გაერთიანებებს მიანიჭონ ქმედითობა, რომ თვითონვე მოითხოვონ მთავრობისგან მათი უფლებების დაკმაყოფილება მსგავს მომსახურებაზე.

გ) გააძლიერონ მარგინალური თემები და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, რათა მათ დაიცვან საკუთარი უფლებები; ამისთვის, ხელი უნდა შეუწყონ მათი ზოგადი შესაძლებლობების ამაღლებას, სოციალურ მობილიზაციას, ხალხის ხმის გაძლიერებას ადგილობრივი და ეროვნული განვითარების დემოკრატიზაციის პროცესში და მონაწილეობას საჯარო პოლიტიკაში.

დ) ჩართონ მუშაობაში ადგილობრივი თემები, სამოქალაქო საზოგადოებები, კერძო სექტორი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და განვითარების სხვა აქტორები და ურთიერთშეთანხმებული პრიორიტეტებისა და მიდგომების საფუძველზე მიაღწიონ სინერგიას.

ე) გაამდიდრონ საჯარო პოლიტიკის გეგმები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შექმნილი ცოდნით, პრობლემებით, პერსპექტივებითა და შეთავაზებებით, რომლებიც აღიარებენ და ეყრდნობიან კულტურულ ფასეულობებში ჩანერგილ სულიერ ღირებულებებს, მკვიდრი მოსახლეობის უფლებებსა და „ვივირ ბენის“ („კარგად ცხოვრების“) მათეულ გაგებას.

ვ) განახორციელონ მთავრობებისა და დონორების პოლიტიკისა და საქმიანობის მონიტორინგი განვითარების სფეროში, პოლიტიკური კვლევების, პოლიტიკური დიალოგებისა და დაუცველი და მარგინალური ჯგუფების წინაშე დემოკრატიული ანგარიშვალდებულების ხელის შეწყობით ადგილობრივი ცოდნის საფუძველზე.

ზ) გაუზიარონ ცოდნა და დაეხმარონ ადამიანებს დემოკრატიის, სოლიდარობისა და სოციალური სამართლიანობის ფასეულობების ჩამოყალიბებაში ინფორმაციის დაგროვებით, ინფორმაციის გაცვლითა და ადამიანების გლობალური მოქალაქეობისკენ მიმართული ქმედებების წახალისებით.

- თ) წახალისონ მოხალისეთა ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე,** იქნება ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაარსება და მხარდაჭერა, თუ უკვე არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმდინარე ორგანიზაციულ ცხოვრებასა და მისიაში წვლილის შეტანა.
- ი) მოიძიონ და მომგებიანად გამოიყენონ დაფინანსების წყაროები და ადამიანური რესურსები განვითარებისათვის.** მაგალითად, სახელმწიფო და ლოკალური დაფინანსების საიმედო წყაროები განვითარებად ქვეყნებში, როგორც რეციპიენტმა ან როგორც შუამავალმა დონორმა ადგილობრივ, სახელმწიფო, ან საერთაშორისო დონეზე.
- კ) დაამყარონ კავშირები როგორც თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, ისე სხვა სამოქალაქო საზოგადოებებთან** იმგვარად, რომ წახალისებული იყოს ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე სამიზნე ჯგუფების უფლებებსა და ცხოვრებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად.

დანართი №3. განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობისა და ხელსაყრელი გარემოს მულტი-აქტორული სამუშაო ჯგუფის მთავარი გზავნილები

სამუშაო ჯგუფი ჩვიდმეტი გზავნილით მოუწოდებს განვითარების ყველა მონაწილეს:

- 1) კვლავ დაამტკიცონ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან განვითარების დამოუკიდებელი აქტორები, რომლებიც საკუთარი სახელით მოქმედებენ და კვლავ გაუსვან ხაზი მულტი-აქტორული პოლიტიკური დიალოგის გამართვის მნიშვნელობას.
- 2) ივალდებულონ და უზრუნველყონ ხელშემწყობი გარემოს შექმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე; დაიცვან საერთაშორისო და რეგიონალურ სამართლებრივ დოკუმენტებში ამჟამად არსებული ვალდებულებები, რომლებიც ფუნდამენტური უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.
- 3) უზრუნველყონ, პარიზის დეკლარაციის პრინციპები, მათ შორის კუთვნილება და რეგულირება არ იყოს იმგვარად გაგებული ან გამოყენებული, რომ გაუარესდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელის შეწყობი გარემო.
- 4) განახორციელონ დონორთა მხრიდან მხარდაჭერის ისეთი მოდელები, რომლებსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობაში... ისეთი პოლიტიკისა და მოთხოვნების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციის, როგორც განვითარების ეფექტიანი, დამოუკიდებელი აქტორის როლის წარმოჩენას, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებს.
- 5) აღიარონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების წარმოსაჩენად განეული შრომის მნიშვნელობა და მიღწეული პროგრესი... [ამასთანავე] საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღიარებენ ხანგრძლივი პროცესის აუცილებლობას და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ აქტიურად გააგრძელონ თვითმართვადი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მექანიზმებისა და სტანდარტების გამოყენება.
- 6) წაახალისონ დახმარებისა და განვითარების ეფექტიანობის პრინციპების, მათ შორის განვითარების სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის სტამბოლის პრინციპებისა და თანხმლები სახელმძღვანელო მითითებებისა და მაჩვენებლების მორგება სპეციფიკურ გარემოსთან; ასევე, წაახალისონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთარი ქმედებები ამ თვითრეგულირებადი სტანდარტებისა და საშუალებების განხორციელებისა და მონიტორინგის მიმართულებით.
- 7) აღიარონ, რომ განვითარების ყოველი აქტორი ანგარიშვალდებულია და პასუხს აგებს დახმარებისა და განვითარების სფეროში განხორციელებულ ქმედებებზე, ასევე ხელი შეუწყოს ერთმანეთის ანგარიშვალდებულებების შესრულებას.
- 8) წაახალისონ ყველა დაინტერესებული მხარის გამჭვირვალობის ზრდისაკენ მიმართული ძალისხმევა ... ისე, რომ შეინარჩუნონ საკუთარი წესები შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, რესურსების მასშტაბები და შეთანხმება წესების თაობაზე, რომლებიც საფრთხეს არ უქმნის უწყვეტ საქმიანობას და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მათთან დაკავშირებული პირების უსაფრთხოებასა და დაცულობას.